7.9. Принцип согласованного психотерапевтического воздействия на сознание и подсознательное психическое пациента. Намечаемые изменения на подсознательном уровне не должны вступать в противоречие, в конфликт с сознанием пациента (и наоборот). Поэтому, при формировании антинаркотической установки, мы работаем как на сознательном, так и на подсознательном уровнях. При этом, мы стараемся заранее согласовать с пациентом, вместе с ним осмыслить то, что мы собираемся сделать на подсознательном уровне с помощью гипно-суггестивного воздействия.

8. Акцентируемые психотерапевтические механизмы. В процессе психотерапевтической работы мы пытаемся использовать как механизмы сознания (рефлексия, объективизация, воля, осознание, сознательное управление поведением и др.), так и механизмы неосознаваемого психического (внушение, эмоции, воображение, многократное повторение психического воздействия, механизмы научения и др.).

9. Используемые психотерапевтические методы – это могут быть любые методы того или иного психотерапевтического подхода, которые помогают решить конкретную психотерапевтическую задачу. Однако, мы в основном всё же опираемся на разработанный нами, комбинированный трансово-суггестивный метод форирования антинаркотической установки личности.

Заключение

В заключении, хотелось бы отметить, что представленная модель пока еще находится в стадии разработки, поэтому, естественно, в ней вполне можно обнаружить недостатки. Однако, мы думаем, что эта модель уже сегодня дает возможность, с одной стороны – повысить эффективность Naltrexone терапии, с помощью специальной психотерапевтической работы с психологической зависимостью и с сопротивлением, с резистентностью пациента (incompliance); а с другой стороны – снизить риск рецидива (благодаря Naltrexone) во время прохождения пациентом курса психотерапии.

Л и т е р а т у р а:

1. Кондрашенко В.Т., Донской Д.И., Игумнов С.А. Общая Психотерапия. Изд. Института Психотерапии, Москва, 2001.
2. Молитвы и заговоры. Практика христианского целительства / Авт.- сост. А.Н.Павнин.- М.:Махаон; Книжный Дом, 2000.
3. Tai B., Blaine J. Naltrexone. An Antagonist Therapy for Heroin Addiction. NIDA&NIH, 1997.

რეზიუმე

თემურ იოსებაძე

ნარკოტიკო-ანტაგონისტური (NALTREXONE) თერაპიისა და სპეციალური

ფსიქოთერაპიის კომბინაცია

სტატიაში წარმოდგენილია ავტორის მიერ შემოთავაზებული მოდელის, ნარკოტიკო-ანტაგონისტური (NALTREXONE) თერაპიისა და სპეციალური ფსიქოთერაპიის კომბინაციის მოდელის, ზოგადი დახასიათება. ამ შემთხვევაში, სპეციალური ფსიქოთერაპიის მიზანია ანტინარკოტიკული განწყობის ფორმირება. მოცემული მოდელი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1) პიროვნების ბიო-ფსიქო-სოცო-სულიერი დეტერმინიზმის პრინციპი; 2) განწყობის პრინციპი; 3) სტრუქტურულ-სისტემური მიდგომის პრინციპი; 4) დიფერენცირებული მიდგომის პრინციპი; 5) სხვა და სხვა ფსიქოთერაპიული მიდგომების კომპლემენტარულობის პრინციპი; 6) შემოქმედებითი მიდგომის პრინციპი; 7) პაციენტთან ფსიქოთერაპიული ურთიერთობის დამყარების პრინციპი; 8) ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურით დეტერმინირების პრინციპი; 9) პაციენტის ცნობიერებასა და არაცნობიერ ფსიქიკურზე შეთანხმებული ფსიქოთერაპიული ზემოქმედების პრინციპი. მოცემულ მოდელში ნაცადია, როგორც ცნობიერების მექანიზმების, ასევე არაცნობიერი ფსიქიკური მექანიზმების გამოყენება. ამ მოდელის ფარგლებში მოიაზრება სხვა და სხვა ფსიქოთერაპიული ტექნიკის გამოყენება, თუმცა მის ძირითად მეთოდს, ავტორის მიერ შემუშავებული, კომბინირებული ანტინარკოტიკული განწყობის ფორმირების ტრანსულ-სუგესტიური მეთოდი შეადგენს.

საკვანძო სიტყვები: ანტინარკოტიკული განწყობის ფორმირება, ნარკომანია, ფსიქოთერაპია, მკურნალობა, NALTREXON თერაპია.

Резюме

Темур Иосебадзе

Комбинация наркотико антагонистической (NALTREXONE) терапии и специальной психотерапии

В статье представлена общая характеристика предлагаемой автором модели комбинации наркотико-антагонистической (Naltrexone) терапии и специальной психотерапии, которая имеет целью формирование антинаркотической установки личности. Эта модель опирается на следующие основные принципы:

1) био-психо-социо-духовный детерминизм личности; 2) принцип установки; 3) принцип структурно-системного подхода; 4) принцип дифференциального подхода; 5) принцип комплементарности разных психотерапевтических подходов; 6) принцип творческого подхода; 7) принцип установления психотерапевтических отношений с пациентом; 8) принцип детерминизма как сознания, так и неосознаваемых психических феноменов; 9) принцип согласованного психотерапевтического воздействия на сознание и подсознательное психическое пациента. В данной модели делается попытка использовать как механизмы сознания, так и механизмы неосознаваемого психического. В качестве психотерапевтических методов применяются разные психотерапевтические техники, хотя основным является, разработанный автором, комбинированный трансово-суггестивный метод формирования антинаркотической установки.

Ключевые слова: Формирование антинаркотического настроения, Наркомания, психотерапия, лечение, наркотико антагонистической терапия.

Summary

Temur Iosebadze

A Combination of Narcotic-antagonist (NALTREXONE) Therapy and Special Psychotherapy

In the article the model of general characteristic of combination the narcotic-antagonist (Naltrexone) therapy with the special psychotherapy, proposed by the author is presented. The aim of the special psychotherapy is to form antinarcotic psychological set in the personality. The model is based on the following main principles: 1) **the principle of bio-psychosocial-spiritual determinism**; 2) **the principle of psychological set**; 3) **the principle of structural-systemic approach**; 4) **the principle of differential approach**; 5) **the principle of complementarity of various psychotherapeutic approaches**; 6) **the principle of creative approach**; 7) **the principle of establishing of psychotherapeutic relationship with the patient**; 8) **the principle of determinism of both consciousness and the unconscious mental phenomena**; 9) **the principle of coordinated psychotherapeutic influence on the consciousness and the unconscious mind of the patient**. In the model both mechanisms of the consciousness and the unconscious mind are used. As psychotherapeutic methods, various techniques are used in the model, but the main one is the combined trance-suggestive method of forming antinarcotic psychological set, worked out by the author.

Key words: Forming anti-drug mood, Drug addiction, psychotherapy, treatment, NALTREXONE Therapy.

მშრალი თვალის დაავადება. გავრცელების სტატისტიკური მონაცემები

ცერცვაძე მ., ოფთალმოლოგი

თბილისი, საქართველო, რონიკოს ოფთალმოლოგიური ცენტრი

marina.t777@gmail.com

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. ლიტერატურის მიმოხილვა.

თვალის ზედაპირის პრობლემები პირველ ადგილზე დგას ოფთალმოლოგთან მიმართვიანობის სიხშირით, მათ შორის პრევალირებს მშრალი თვალის დაავადება (მთდ). სულ რაღაც 20 წლის წინ ეს პრობლემა აღენიშნებოდა მოსახლეობის 2 %, დღეს კი აქტუალურია ტერმინი - „მშრალი თვალის ეპიდემია“. [1]. 2017 წ ჩატარებული კვლევების მიხედვით ევროპის მოსახლეობის 22 %-ს აღენიშნება მთდ. [2], ხოლო ყოველ მე-3 ადამიანს აქვს დისკომფორტი კომპიუტერთან მუშაობის დროს [1]. ზუსტი მონაცემების დადება ძნელია დიაგნოსტიკურ მეთოდებზე კონსენსუსის არარსებობისა და შეზღუდული კოჰორტული კვლევების გამო. სხვა და სხვა ავტორის მიხედვით მშრალი თვალის დაავადება გავრცელებულია მოსახლეობის 12- 67%-ში. [8].

ძირითადი ტექსტი

მშრალ თვალს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა სიცოცხლის ხარისხზე და ჯანმრთელობაზე, 2-3 ჯერ აქვეითებს ადამიანის საერთო აქტივობას, აქვეითებს შრომის უნარიანობას, რაც მეგაკომპანიების დიდ პრობლემად იქცა. [2]


მშრალი თვალის დაავადების ახალი დეფინიცია.

2017 წლის მაისში საცრემლე აპკის და თვალის ზედაპირის ასოციაციის(TFOS) მიერ ჩატარებულ მშრალი თვალის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარზე შეიქმნა ახალი, სრულიად განსხვავებული დეფინიცია - „მშრალი თვალი ეს არის საცრემლე აპკის და თვალის ზედაპირის მულტიფაქტორული დაავადება, რომელსაც ახასიათებს საცრემლე აპკის ჰომეოსტაზის დაქვეითება, რასაც ახლავს ოკულარული სიმპტომები, როგორცაა საცრემლე აპკის არასტაბილურობა და ჰიპეროსმოლარობა, თვალის ზედაპირის ანთება და დაზიანება. ძირითად როლს ეტიოლოგიაში თამაშობს ნეიროსენსორული გადახრა“. [3].

ჯანსაღი საცრემლე აპკი უზრუნველყოფს თვალის ზედაპირის ჰომეოსტაზს, ინარჩუნებს გლუვ ოპტიკურ ზედაპირს, კომფორტს, ეპითელური უჯრედების სიჯანსაღეს და იცავს თვალს გარემო ფაქტორებისგან და მიკრობული დაზიანებისგან. [4].

ვიროგენური ანთება არის მშრალი თვალის დაავადების დაწყების და პროგრესირების მნიშვნელოვანი


სეკრეტომოტორული
ნერვული იმპულსები




სენსორული ნერვული
იმპულსები

პათოგენური ფაქტორი.

ცრემლის დეფიციტი იწვევს ჰიპეროსმოლარობას, რაც ასტიმულირებს ეპითელიუმის დაზიანებას, ხდება T-cell ექსპოზიცია რქოვანას ზედაპირზე და ნერვული დაბოლოებების ქრონიკული სტიმულაცია. ვითარდება ნეიროგენული სტრესი და ნეიროგენული ანთება (თვალის ზედაპირი, საცრემლე ჭირკვალი). [5]. ამ დროს, თვალის ზედაპირზე ხდება დამახასიათებელი ავტორგანიზებული CD4-დადებითი T-უჯრედების ექსპრესია-intercellular adhesion molecule-1 (ICAM-1), რომელიც დაკავშირებულია ლიმფოციტების ასოცირებულ ანტიგენ 1-თან (LFA-1), შედეგად გამოიყოფა პროანთებითი ციტოკინები (IL-1 β , TNF- α , IL-17, IFN- γ), ხდება CD4+ T-cell ინფილტრაცია კონიუნქტივაში, გობლეტის უჯრედების დალუპვა, სკვამოზური მეტაპლაზია, აპაპტოზი. [6]. ცრემლში გროვდება ანთების მარკერები - როგორცაა HLA-DR, MMP-9. შესაბამისად ნეიროგენური ანთება არის მშრალი თვალის დაავადების დაწყების და პროგრესირების მნიშვნელოვანი პათოგენური ფაქტორი.[5]



ეტიოპათოგენური კლასიფიკაცია



პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გვხვდება ცრემლის აორთქლების მომატების ხარჯზე განვითარებული მშრალი თვალის დაავადება. [3].


კლასიფიკაცია სიმძიმის მიხედვით (ოქსფორდის სკალა)

პირველი სტადიის (LEVEL A) მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ფორმების დროს არის არასტაბილური საცრემლე აკვი, თუმცა არ ახასიათებს რქოვანას სიმპტომები და კონიუნქტივის შეღებვა.

მეორე სტადიას (LEVEL B) ახასიათებს რქოვანას მსუბუქი წერტილოვანი და კონიუნქტივის შეღებვა.

მესამე სტადიის დროს (LEVEL C) გვხვდება რქოვანას ინტენსიური წერტილოვანი შეღებვა, რქოვანას ცენტრალური შეღებვა და ძაფისებური კერატიტი.

მეოთხე სტადიის დროს (LEVEL D) რქოვანას ზედაპირი მძიმედ იღებება, ჩნდება ეროზიები და კონიუნქტივალური ნაწიბური. (7).



2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის მაისამდე რონიკოს ოფთალმოლოგიური ცენტრის ბაზაზე დაინყო პაციენტების კვლევა მშრალი თვალის დაავადების გამოვლენისა და სტატისტიკური რეგისტრაციის მიზნით: გვანტერესებდა რამდენად ხშირია და როგორ მიმდინარეობს მშრალი თვალის დაავადება საქართველოში.

სულ გამოკვლეულია 383 პაციენტი. გამოკვლეული პაციენტებიდან მთლ აღმოაჩნდა 149 პირს (39,1%). პაციენტები გადანაწილდნენ შემდეგ ჯგუფებად (იხილეთ ცხრილები).

პაციენტების გადანაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ცხრილი N1

1 ჯგ(6-15 წლ)	2 ჯგ (15-30 წლ)	3 ჯგ (30-55 წლ)	4 ჯგ (55-81 წლ)
4,6 %	29,3%	45,3%	20%

პაციენტების განაწილება სქესის მიხედვით

ცხრილი N2

ქალები	მამაკაცები
60%	40%

პაციენტების განაწილება პროფესიის მიხედვით

ცხრილი N3

პენსიონრები	მოსწ.სტუდენტი	უმუშევრები	ოფისში დასაქმებულები	სხვაგან დასაქმებულები
10,6%	18%	16%	45,3%	10%

პაციენტების განაწილება ჩივილების მიხედვით

ცხრილი N4

თვლების წვა	43,3 %
თვალში უცხო სხეულის შეგრძნება	24%
მომატებული მგრძობელობა ინდიფერენტული წვეთების ჩანწვეთებაზე	4,6%
თვალში ჩხვლეტების შეგრძნება	3,3%
ქარის და კონდენციონერის აუტანლობა	36%
შუქის შიში	6%
ცრემლდენა	14%
თვლების სიმშრალე	48%
ჩივილების არ არსებობა	20%

პაციენტებს უტარდებოდათ ტიპური ოფთალმოლოგიური გამოკვლევა: თვალის კაკლისა და ქუთუთოების ბიომიკროსკოპია ვიტალური საღებავების გამოყენებით, მენისკომეტრია, შირმერის და ნორნის ტესტი. შედეგები მოყვანილია N5 ცხრილში.

N5 ცხრილი

საცრემლე მენისკის შემცირება	67,2%	ქუთუთოს კიდების დაზიანება (LWE)	7,2%
თვალის ექსპონირებული ზონის მსუბუქი ჰიპერემია (Tseng)	82,2%	აშკარა მებიომის ჯირკვლების დისფუნქცია	23,2%
ვიტალური საღება-ვის პიგმენტის გახანგრძლივებული შეკავება თვალის ზედაპირზე	8,6%	შირმერის დადებითი ტესტი	2,9%
ბულბალური კონიუნქტივის ლოკალური შეშუპება (LIPCOF)	7,2%	სწრაფი საცრემლე აპკის გახლეჩვის დრო (ნორნის ტესტი)	64%
ეპითელიოპათია ოქსფორდის სკალის მიხედვით	16,6%	ეპითელიალური ძაფები	2,6%

თანმსლენი ოფთალმოლოგიური დაავადებები

ცხრილი N6

თვალის ზედაპირის ანთებები	55%
რეფრაქციის მანკები	72%
თვალის ქრონიკული დაავადებები	12%
ქუთუთოს დაავადებები	21,3%
ოფთალმოქირურგიის შემდგომი მდგომარეობა	5,3%


თანმსლენი ზოგადი დაავადებები

ცხრილი N 7

ენდოკრინოლოგიური დაავადებები	7,3%
სისტემური დაავადებები	2,6%
გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	7%

შედეგები.

გამოკვლევული 383 პაციენტიდან მთლ აღმოაჩნდა 39,1%, ძირითადად რეფრაქციის მანკების მქონე (72%) საშუალო ასაკის 30-55 წლის 45,3 %-ს, ქალბატონების 60%-ს, ქალაქის მაცხოვრებლების-86%-სა და ოფისებში მომუშავეთა 45.3%-ს. ძირითადი ჩივილებია - სიმშრალე (48%) და წვა (43.3%). ობიექტურად გამოვლინდა ჰიპერემია 85.2%-ში და მენისკის შემცირება - 67.2%-ში. აღსანიშნავია ჩივილებსა და ობიექტურ მონაცემებს შორის შეუსაბამობა. პაციენტების 20%-ს არ ჰქონდათ სუბიექტური ჩივილები.



ჩვენს მიერ გამოკვლევული პაციენტების 5,3%-ს აქვს არტიფაკია (ხელოვნური ბროლი) და ყველა მათგანს (100%) აღენიშნება მთლ. ყველა პაციენტს, ვისაც ჰქონდა თანხლები დაავადებები, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები (31%) -100% შემთხვევაში აღენიშნებოდა მშრალი თვალის დაავადება, 2 პაციენტს აღმოაჩნდა სიუგრენის სინდრომი და მათი მკურნალობა ხორციელდება რევმატოლოგთან ერთად.

დასკვნა.

მშრალი თვალი ეს არის ქრონიკული დაავადება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ყოველდღიურ აქტივობაზე. ასევე, მთლ უარყოფითად მოქმედებს ოფთალმოქირურგიის შედეგებზე და არის ასოცირებული პოსტოპერაციულ გართულებებთან. მშრალი თვალის დაავადების ზრდა იქნება მომავალშიც გაგრძელდება, რადგანაც ცხოვრების სტილი უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მულტიქრინ ტექნოლოგიებთან. ჩვენი კვლევის მიხედვით მშრალი თვალის გავრცელების სტატისტიკური მაჩვენებლები უფრო მაღალია ვიდრე ევროპის ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. THE DRY EYE 'EPIDEMIC' Association of Optometrists England, 2017;
2. Presentation The Changing Landscape of Dry Eye Disease in Europe, Maurizio Rolando, MD, SOE 2017;
3. 2017 Report of the International Dry Eye workshop (DEWS-Report) May 07, 2017- The Tear Film & Ocular Surface Society (TFOS);
4. J Fr Ophtalmol. 2007; 30-239-46, Baudouin et al. The Ocular Surface, 2013;
5. Presentation The role of the chronic inflammation in the eye surface diseases. Dr. Elisabeth M. Messmer SOE, 2017;
6. Pflugfelder S, et al. / Ocul Pharmacol Ther. 2014; 33-5-12; Perez VL, et al. Ocul .Surf. 2016-215; Stern ME, et al. Mucosal Immunol. 2010; 3-425-442.
7. Prof. Dr Margarita Calonge delivers a presentation entitled: Challenges in the Management of Dry Eye Disease, during the Shire-sponsored satellite symposium 'Modern Perspectives on Dry Eye Disease'. 2017;
8. McDonald M., 2001

რეზიუმე
მარინა ცერცვაძე
მშრალი თვალის დაავადება. გავრცელების სტატისტიკური მონაცემები

2017 წ. ჩატარებული კვლევების მიხედვით ევროპის მოსახლეობის 22 %-ს აღენიშნება მთელ, ყოველ მე-3 ადამიანს აქვს დისკომფორტი კომპიუტერთან მუშაობის დროს. 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის მაისამდე რონიკოს ოფთალმოლოგიური ცენტრის ბაზაზე ჩატარდა პაციენტების კვლევა მშრალი თვალის დაავადების გამოვლენისა და სტატისტიკური რეგისტრაციის მიზნით: გვანტერესებდა რამდენად ხშირია და როგორ მიმდინარეობს მშრალი თვალის დაავადება საქართველოში. პაციენტებს უტარდებოდათ ტიპური ოფთალმოლოგიური გამოკვლევა: თვალის კაკლის და ქუთუთოების ბიომიკროსკოპია ვიტალური საღებავების გამოყენებით, მენისკომეტრია, შირმერის და ნორნის ტესტი. გამოკვლეული 383 პაციენტიდან მთელ აღმოაჩნდა 39,1%, ძირითადად რეფრაქციის მანკების მქონე (72%) საშუალო ასაკის 30-55 წლის - 45,3%, ქალბატონების 60%-ს, ქალაქის მაცხოვრებლების 86%-ს და ოფისებში მომუშავეთა 45.3%. ძირითადი ჩივილები იყო - სიმშრალე (48%) და წვა (43.3%). 85.2%-ში ობიექტურად გამოვლინდა ჰიპერემია და 67.2%-ში მენისკის შემცირება. აღსანიშნავია, ჩივილებსა და ობიექტურ მონაცემებს შორის შეუსაბამობა. პაციენტების 20%-ს არ ჰქონდათ სუბიექტური ჩივილები. ჩვენი კვლევის მიხედვით მშრალი თვალის გავრცელების სტატისტიკური მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში. მშრალი თვალის დაავადების ზრდა მომავალშიც გაგრძელდება რადგანაც ცხოვრების სტილი უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მულტისქრინ ტექნოლოგიებთან.

მშრალი თვალი ეს არის ქრონიკული დაავადება, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ყოველდღიურ აქტივობაზე. ასევე, მთელ უარყოფითად მოქმედებს ოფთალმოქირურგიის შედეგებზე და არის ასოცირებული პოსტოპერაციულ გართულებებთან.

საკვანძო სიტყვები: თვალის ზედაპირი, მშრალი თვალის დაავადება (მთელ), საცრემლე აპკი, ანთება.

Summary

Marina Tsertsvadze

Dry eye disease. Distribution statistics

According to the studies conducted in 2017, 22% of the European population have DED (dry eye disease), but every 3rd person has a discomfort during working at a computer. From September 2017 to May 2018 the patients' research on the detection and statistical registration of dry eye disease was conducted on the base of the "Roniko" Ophthalmology Center. The study of the patients was conducted with the purpose of detection of dry eye disease and statistical registration. We were interested in the incidence and progression of this disease in our country. Patients have undergone a typical ophthalmic examination: Biomicroscopy of the eye and eyelids using vintage paints, meniscometry, Schirmer and Norin test.

Out of the 383 patients studied, DED was found in 39,1%, mostly in middle aged patients, with refraction defect (72%) - 30-55 years of age, women (60%), urban residents (86%) and office workers (45.3%). Main complaints - dryness (48%) and burning (43.3%). Objectively hyperemia 85.2% and reduction of meniscus 67.2% was revealed. The inconsistency between complaints and objective data is noteworthy. The 20% of patients did not have any subjective complaints, 5,3% of patients examined by us have pseudophakia and all of them (100%) have DED.

According to our research, statistical indicators of dry eye spreading are higher than in European countries. Dry eye disease will continue to grow in the future as well as the population aging, because the lifestyle is more closely related to multi screen technologies.

DED is a rather common chronic disease, that negatively affects the quality of human daily activity and In addition, it also negatively affects the results of ophthalmologic surgery and is associated with postoperative complications.

Key words: Dry eye disease (DED), tear film, ocular surface, inflammation.

Резюме

Марина Церцвадзе

Болезнь сухого глаза. Статистические данные распространения заболевания

По данным исследования, проведенному в Европе 2017 г. 22 % населения страдают БСГ, каждый третий пользователь ПК испытывает дискомфорт. С сентября 2017 г. по сентябрь 2018 г. на базе офтальмологического центра «Ронико» проведено исследование 383 пациентов по выявлению и статистической регистрации заболеваний сухого глаза: как часто и как развивается болезнь сухого глаза в Грузии. БСГ обнаружена у 39,1%, в основном возраст 33-55 лет 45,3%, женщины 60% с патологией рефракции 72%, жители города 86% и работающие в офисах 45,3%. Основные жалобы - сухость (48%) и жжение (43.3%). Объективно отмечалась гиперемия 85.2% и уменьшение слезного мениска 67.2%. У 20% пациентов не было субъективных жалоб. Согласно нашим исследованиям, статистические показатели распространения сухого глаза выше, чем в европейских странах. Рост сухих глазных болезней будет продолжаться и в будущем, поскольку стиль жизни тесно связан с многокультурными технологиями.

Сухой глаз - хроническое заболевание, которое влияет на повседневную деятельность человека. Кроме того, БСГ негативно влияет на результаты офтальмохирургии и связано с послеоперационными осложнениями. Имеется тенденция роста этого заболевания, так как жизнь современного человека больше будет связана с мультискрин технологиями.

Ключевые слова: поверхность глаза, болезнь сухого глаза (БСГ), слезная пленка, воспаление.

ჯანდაცვის მენეჯმენტი

ჯანდაცვითი პოლიტიკის სპეციფიკა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის

რევაზ ლორთქიფანიძე, პროფესორი

შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, თბილისი, საქართველო,
revazlordkifanidze@gmail.com

შესავალი

ნიშანდობლივია, რომ ჯანდაცვითი პოლიტიკა ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროა ნებისმიერი ხელისუფლების მოღვაწეობის შესაფასებლად, ამდენად, მას, როგორც წესი, ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა, არ ცხრება დისკუსია საკითხზე, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ჩართულობა ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში. ზოგი თვლის, რომ აქ მეტი თავისუფლება ეფექტიან კერძო სექტორს უნდა მიენიჭოს, ზოგი, პირიქით - სახელმწიფო სექტორს ანიჭებს უპირატესობას.

ჩვენი თვალთახედვით, ჯანდაცვის კერძო სექტორი და მისი კვალიფიციური პერსონალი, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წნეხისაგან [1; 2], თუმცა, განვითარებად ქვეყნებში, ბუნებრივია, სახელმწიფოს არსებითად მეტი მზრუნველობა მართებს როგორც უშუალოდ ჯანდაცვითი მომსახურების ეფექტიანობის ასამაღლებად, ასევე, ნაკლებშემოსავლიანი მოსახლეობის მხარდასაჭერადაც.

სუპერგანვითარებულ აშშ-სა და ინგლისშიც კი, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და სახელმწიფო სექტორის როლი განუხრელად იზრდება და, სამაგალითოა, რომ საქართველოს ჯანდაცვის საყოველთაო რეფორმა, თავისი ორიგინალური გზითა და მეთოდებით, შეუერთდა ჯანდაცვის რეორგანიზებაში დაწინაურებული წარმატებული ქვეყნების რიცხვს.

ძირითადი ტექსტი

როგორც მოგვსენებათ, განვითარებული ქვეყანა ე.წ. ინტელექტუალური (მეცნიერებატევადი) - "ინდუსტრიული ქვეყანაა", ანუ ტექნიკურად (მ.შ., მნიშვნელოვანწილად, სამედიცინო ტექნიკით) მეტად განვითარებული ან "უფრო ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა" [3]. განვითარებული ქვეყანა, უპირველესად, დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში, მ.შ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ჯანდაცვაში. მას, განვითარებულ ეკონომიკასთან ერთად, ტექნოლოგიურად განვითარებული ინფრასტრუქტურაც უნდა გააჩნდეს და, შედეგად, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის საკმარისი დონით უნდა ხასიათდებოდეს, რაც ცხოვრების ხარისხის მთვარ კრიტერიუმად მიიჩნევა.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ განვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორი ძალიან ძლიერია და დახმარებას ნაკლებად საჭიროებს. ასეთ კერძო სექტორს პირიქითაც შეუძლია სოციალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება, გადახდილი გადასახადებისა და სხვადასხვა საქველმოქმედო მოღვაწეობის გზით. ძლიერი კერძო სექტორის დამატებითი მხარდაჭერა შესაძლებელია გამართლდეს მხოლოდ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და სამედიცინო ინოვაციების დიდი მიღწევების განხორციელების მწვავე აუცილებლობის შემთხვევაში.

განვითარებად ქვეყნებში კი სუსტი კერძო სექტორი ვერ ახერხებს კონკურენციას ძლიერ უცხოელ კონკურენტებთან და ხშირად მეტად და მეტად ღარიბდება და სიღარიბის ე.წ. "მოჭადოებულ წრეში" ექცევა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო არ უნდა დარჩეს მომლოდინეს როლში და, როგორც ბაზრის ერთ-ერთმა სუბიექტმა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კერძო სექტორის საჭირო სუბსიდირებაში, გამოიყენოს

დაბალპროცენტიანი სესხების მექანიზმები და ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო მაქსიმალურად ეფექტიანი დაბალი გადასახადები და საპროცენტო განაკვეთები.

მდიდრებსა და ღარიბებს შორის შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობები. განვითარებულ ქვეყნებში ზოგი ფიქრობს, რომ თუ ისინი ღარიბებს მეტად გააღარიბებენ, მეტად და მეტად გამდიდრდებიან. ეს არ არის მართებული ხედვა. სხვების სიღარიბე მდიდარს და ზოგადად სახელმწიფოებსაც ტვირთად აწვება და მეტად საზიანო ხდება ყველასათვის.

ჩვენი აზრით, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობები უნდა განვითარდეს ორი ძირითადი მიმართულებით:

1. განვითარებადი ქვეყნებისთვის განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო და ტექნოლოგიური (მ.შ. უპირველესად ჯანდაცვითი) მიღწევების გამოყენება;
2. მთავარი მაკროეკონომიკური და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესება, ნაკლებანაზღაურებადი ნაკლებკვალიფიციური პერსონალის ჩართვის გზით განვითარებული ქვეყნების პროგრამებში.

კონკურენციის ხანგრძლივი კვლევების შედეგად [4; 5], გამოვლინდა, რომ ღარიბი მდიდართან კონკურენციაში თითქმის ყოველთვის აგებს, მაგრამ ყველაფერი იმ შეგნებამდე უნდა მივიდეს, რომ მდიდარმა გაიგოს, რომ, თუ ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდებიან, მსოფლიო კრიზისი მომწიფდება, ხოლო სანინაამდევო შემთხვევაში - მსოფლიო მეატად ბედნიერი გახდება ყველასათვის.

ჩვენმა სავარაუდო გათვლებმა აჩვენა, რომ განვითარებადი ქვეყნების ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიუხედავად, განვითარებული ქვეყნები ერთნაირად უკეთ ცხოვრობენ, რაც, რასაკვირველია, საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების მონიტორინგს საჭიროებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული გარკვეული ეკონომიკური დისკრიმინაციის გამო, რომელიც ჯანდაცვითი მომსახურების ხარისხზე აისახება.

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების განსხვავება ცხოვრების დონესა და ეკონომიკურ ზრდაში

(ჩემი მიახლოებითი გათვლები მე-20 და 21-ე საუკუნეებისათვის)

ქვეყნები	მშპ-ს ზრდა წელიწადში (%)	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (განვითარებული=1)
განვითარებული	3.4 (მე-20); 2.9 (21-ე)	38.5 (მე-20); 38.5 (21-ე)
განვითარებადი	5.3 (მე-20); 5.2 (21-ე)	1

დასკვნა

ჯანდაცვითი მომსახურების ხარისხში არსებული გარკვეული განსხვავებების გამო, ჩვენს მიერ, დასკვნისათვის, განზოგადდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები [6]. სამაგალითოდ გამოვლინდა, რომ თანამედროვე აშშ-ში შეინიშნება სამედიცინო მომსახურების წარმოებისა და ექსპორტის აუცილებელი მკვეთრი ზრდა, რაც ძალიან კარგია და ყველა ქვეყნის სტრატეგიული მიზანი შეიძლება გახდეს. მეცნიერებისა და ჯანდაცვის განვითარება ძალიან რთული გზაა, მაგრამ აუცილებელია დასაქმებისა და პროგრესისთვის. ზოგიერთი ქვეყანა ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის არარეალურ სექტორებზე, რომლებიც თავდაპირველად დიდ შემოსავალს იძლევა, მაგრამ მკვეთრად უარყოფით საბოლოო შედეგებს განაპირობებს. მაღლიერება პროგრესულ ქვეყნებს საუკეთესო მაგალითისათვის, რომ გააზრებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ჯანდაცვითი შედეგები მოგვცეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამცოლაძე გ. ამცოლაძე ი. ლომსაძე-კუჭავა მ. ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები. - თბილისი, 2011.
2. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (რედ. ნ. პაიჭაძე). - თბილისი, 2009.
3. Developed Country. - https://en.wikipedia.org/wiki/Developed_country
4. Lordkipanidze R. Competitive International Business and Effective State Neuroeconomic Mechanisms (Textbook: Fundamental Principles from Monographic Researches for Students and Specialists of Economics, Public Administration and Marketing). Dedicated to the Bright Successful for Peace Negotiations of the United States and North Korea in the Most Dangerous Era of Nuclear Competition. - Tbilisi. 2018.
5. Lordkipanidze R. Dialectics to Understanding of International Competition: For Fundamentals and Practice of Business and Public Law. Tbilisi, Philanthropic Research Academy named after Economist A. Gunia for the Digital Library of the Parliament Georgia, 2018. ISBN 978-9941-8-0217-1 (PDF) <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/271351>
6. Industrial Production (Annual): Percent change from previous year by data from International Monetary Fund. - <http://www.imf.org/external/datamapper/datasets/IFS/4>

რეზიუმე

რევაზ ლორთქიფანიძე

ჯანდაცვითი პოლიტიკის სპეციფიკა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის

შრომის ავტორის აზრით, განვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორი ძალიან ძლიერია და დახმარებას ნაკლებად საჭიროებს. ასეთ კერძო სექტორს პირიქითაც შეუძლია სოციალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება, გადახდილი გადასახადებისა და სხვადასხვა საქველმოქმედო მოღვაწეობის გზით. ძლიერი კერძო სექტორის დამატებითი მხარდაჭერა შესაძლებელია გამართლდეს მხოლოდ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და სამედიცინო ინოვაციების დიდი მიღწევების განხორციელების მწვავე აუცილებლობის შემთხვევაში.

განვითარებად ქვეყნებში კი სუსტი კერძო სექტორი ვერ ახერხებს კონკურენციას ძლიერ უცხოელ კონკურენტებთან და ხშირად მეტად და მეტად ღარიბდება და სიღარიბის ე.წ. "მოჭადლოებულ წრეში" ექცევა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო არ უნდა დარჩეს მომლოდინეს როლში და, როგორც ბაზრის ერთ-ერთმა სუბიექტმა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კერძო სექტორის საჭირო სუბსიდირებაში, გამოიყენოს დაბალპროცენტიანი სესხების მექანიზმები და ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო მაქსიმალურად ეფექტიანი დაბალი გადასახადები და საპროცენტო განაკვეთები.

საკვანძო სიტყვები: განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები, სამედიცინო რესურსების შეფასების კრიტერიუმები, პროგრესული ტექნოლოგიები, თანამედროვე მართვის სისტემები.

Summary

Revaz Lordkipanidze

Specificity of Health Policy for Developed and Developing Countries

By work's author opinion, in developed countries, the private sector is very strong and does not need help. Such a private sector can even solve some social problems through taxes and charitable actions. Additional support to such a private sector can be justified only in extreme cases of the need to implement the keenly needful achievements of science, technology and medical innovations.

In developing countries, a weak private sector does not stand up to competition with strong foreign competitors and often becomes poorer and poorer and finds itself in a "evil circle" of poverty. In this case, the state should not be in the role of waiting - it is also a participant in the market and should subsidize the private sector or apply mechanisms of low-cost loans and maximal effective low tax and interest rates for attract investments.

Key words: developed and developing countries, medical resources evaluation criteria, progressive technologies, modern management systems.

Резюме
Реваз Лордкипанидзе
Специфика политики здравоохранения для
развитых и развивающихся стран

По мнению автора труда, в развитых странах, частный сектор развит достаточно основательно (стабильно) и не нуждается в помощи. Такой частный сектор даже может решать некоторые социальные проблемы посредством налогов и благотворительных акций. Дополнительная поддержка такого частного сектора может быть оправдана только в экстремальных случаях необходимости реализации остро нужных новаций науки, технологий и медицинских услуг.

В развивающихся странах, слабый частный сектор не выдерживает конкуренцию с сильными иностранными конкурентами и часто беднеет все больше и больше и оказывается в "закалдованном круге" бедности. В таком случае, государство не должно быть в роли ожидающего - государство тоже является участником рынка и может субсидировать частный сектор или применять механизмы недорогих кредитов и максимально эффективные низкие налоги и процентные ставки для привлечения инвестиций.

Ключевые слова: развитые и развивающиеся страны, критерии оценки медицинских ресурсов, прогрессивные технологии, современные системы управления.

მენეჯმენტი

ამერიკელი, ევროპელი და იაპონელი ლიდერების მენტალიტეტის შედარება ქართველი ბიზნეს ლიდერების მენტალიტეტთან

გ. ამყოლაძე, ლ. ბუაძე, რ. ქუთათელაძე

შესავალი

მსოფლიოში განთქმულ ბიზნეს გენიათა და ლიდერთა თვისებები გვიჩვენებს მათ წარმატებებს ბიზნესში, პოლიტიკასა და ცხოვრებაში.

ასევე შერჩეული თვისებების მიხედვით ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ და ასევე მნიშვნელოვნად ნაბიჯად ჩამოგვეყალიბებინა უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში წარმატებულ ლიდერთა თვისებების სისტემა რეგიონებისა და ქვეყნების ეკონომიკის განვითარების საფუძველზე. ბაზისურად ავიღეთ 1918 წელს ბიზნეს-გენიის ლიდერის დ. მ. როკველერის მიღწეული წარმატება, რომელიც გამოიხატა იმ პერიოდის კაპიტალის რაოდენობით - 1,2 მლრდ ამერიკული დოლარი. ესაა როგორც ამერიკის ასევე მსოფლიოს პირველი მილიარდერი. დღევანდელი კურსით მისი სიმდიდრე შეადგენს 150 მლრდ აშშ დოლარს, ანუ დღესაც მისი ლიდერული თვისებების ეფექტიანად გამოყენების შედეგი ჯერჯერობით მიუწვდომელია.

კვლევის საგანი

ლიდერთა საქმიანობის წარმატებით წარმართვა ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დონესა და პერსპექტივაზე, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა რამდენად მოქნილია და ხელს უწყობს ბიზნესისა და მენარმეობის განვითარებას, როგორია ბიზნეს, სამენარმეო, საინვესტიციო, საინოვაციო და კონკურენტული გარემო. ყოველი ქვეყანა განვითარებულია, სადაც ეს ფაქტორები დადებითად მოქმედებენ და ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

ჩვენ მიზანს წარმოადგენს გამოვიკვლიოთ, თუ რა როლი ენიჭება ქვეყნის ბიზნესის განვითარებაში ბიზნეს ლიდერებს, როგორი მეთოდებით, პირობებითა და ხერხებით სარგებლობენ ისინი და რა თვისებებია მათში ძირითადად გამოკვეთილი, რითაც ისინი გამორჩეულად მოქმედებენ და წარმატებას აღწევენ თავიანთი საქმიანობით გრძელვადიან პერიოდში.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკაში, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ათასობით კვლევაა ჩატარებული. მათ საფუძველზე შექმნილია ლიდერთა სახეების, უნარების, თვისებებისა და ხასიათის შემსწავლელი სისტემები თითოეული ამ მიმართულების ან მიმართულებათა ჯგუფის გავლენა ლიდერის (კომპანიის) საქმიანობის წარმატებაზე, ქვეყნის განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო მასშტაბით შექმნილია ათასობით სკოლები, კურსები, კოლეჯები, ასევე, ტარდება სემინარები, სადაც ხდება ლიდერობის შესწავლა, ასევე ცნობილი მეცნიერების ნაშრომები ლიდერობაზე გამოიყენება მსოფლიოს უნივერსიტეტებში ლიდერების მოსამზადებლად, ჯერჯერობით არაა შექმნილი სწავლების ის სისტემა, რომლის გამოყენებით შეიძლებოდა ლიდერის მომზადება, არაა ჩამოყალიბებული მეთოდი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, რაღაც განსაზღვრული დროის შემდეგ ლიდერი პროფესიულად შეუდგებოდა სალიდერო საქმის შესრულებას.

აღსანიშნავია მეცნიერთა მცდელობა და ლიდერობის გამოკვლევაზე გამოყენებული მიდგომა. ეს ტარდებოდა გასაუბრების, ტესტებისა და გამოკითხვებით მიღებული ინფორმაციის სხვადასხვა ანალიზის მეთოდების გამოყენებითა და შთაბეჭდილებების საფუძველზე.

მათ მიეკუთვნება: თვისებების, ქცევითი, სიტუაციური თეორიები და უკანასკნელ პერიოდში ქარიზმატულ და ტრანსფორმაციულ ლიდერობაზე კვლევის მიდგომის გამოყენება. დამუშავებულია ეფექტური ლიდერის თვისებები: ფიდლერის სიტუაციური მოდელი, დ. გოულმენის ემოციური ინტელექტის მოდელი და სხვ. მათი აღწერა და განსაზღვრებანი მითითებულია ჩვენს ნაშრომში.

ჩვენ გავითვალისწინეთ მეცნიერთა ადრინდელი კვლევების შედეგები და ლიდერობის თვისებებისა და უნარების ეფექტიანობა და მიღწევები, გამოვიკვლიეთ მსოფლიოში ცნობილი ბიზნეს-გენიათა, ლიდერთა ნაშრომები, ავტობიოგრაფიული და მათ მიერ გამოქვეყნებული წიგნები, სადაც 100% შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ეს მასალები უნაკლოა. კვლევის ქვეშ მოვაქციეთ რეგიონული ეკონომიკის განვითარების დონე და მის მიღწევაში ლიდერების საქმიანობის წარმატება ნიზბესის განვითარებაში მათი როლი.

გამოკვლევული ინფორმაციით ჩამოვაყალიბეთ შემდეგი სისტემები: ამერიკული, იაპონური, ევროპული და ქართული. კვლევამ მოიცვა 100 წლიანი პერიოდი. ასეთი სისტემური დანაწილებით გვსურდა დავგვედგინა წარმატებული და განვითარებული ქვეყნების ლიდერთა ლიდერული მენტალიტეტისა და დღესდღეობით განვითარებადი, ჩამორჩენილი ქვეყნის (საქართველოს) ბიზნეს ლიდერთა მენტალიტეტისა და ლიდერული უნარების შედარება.

მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შევადგინეთ კითხვარი – ტესტი „ლიდერული თვისებების გამოვლენასა და წარმატების უნარებზე“.

ამ კითხვარ-ტესტში კითხვა და პასუხი აღებული იქნა ჩამოთვლილი ქვეყნების ბიზნეს ლიდერთა თვისებებიდან. მაგალითად, ევროპელი ბიზნეს გენია ბერნარ არნო სარგებლობდა ერთ-ერთი ასეთი უნარით: კითხვა „ნებისმიერი ნივთი, გნებავთ ელიტური, როდის გახდება მომგებიანი?“ – პასუხი: „როცა მოიძებნება მისი გაყიდვის სტრატეგია“. ეს არის მისი თვისებიდან და შესრულებული მოქმედებიდან აღებული და კითხვარში შეტანილი. თუმცა, დანარჩენი ორი შეკითხვა დამუშავებული იქნა ჩვენს მიერ და გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ის აირჩია. ამ ტესტში ჩვენს მიერ შეტანილი იქნა პასუხები: როცა ნივთი ძვირადღირებულია და როცა ნივთი ბაზარზე ახლად შეტანილია. ამ პასუხს უფრო მეტი მომხრე აღმოაჩნდა, მაგრამ შედარებით ნაკლები, ვიდრე ბ. არნოს პასუხი.

ეს კითხვარი-ტესტი შედგენა 30 კითხვისაგან, სადაც ერთი პასუხია სწორი. ჩვენ, ვიდრე ამ კითხვარს დავამუშავებდით, გამოვიკვლიეთ ბიზნეს-ლიდერთა წარმატებული თვისებები და უნარები. შემდეგ მოვახდინეთ მათი თავმოყრა კითხვარში, რომელიც შემოწმებული იქნა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან: მენარმეები, სტუდენტები, მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები.

მენარმეების მიერ შერჩეული იქნა 30 ტესტისაგან საშუალოდ 15 სწორი პასუხი, 50%-იანი მიღწევა.

სტუდენტებმა მოახერხეს საშუალოდ 16 პასუხის სწორად შერჩევა, ანუ სწორად შერჩეული იქნა 53%. მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ შერჩეული იქნა 15 სწორი პასუხი, აქაც 50%-იანი მიღწევაა.

თუმცა, შეიძლება აღინიშნოს, რომ მაქსიმალური დადებითი შეფასება იყო:

- მეცნიერებსა და პროფესორებს შორის 17-18;
- სტუდენტებს შორის 21-22;
- მენარმეთა შორის 20-21.

საშუალო მიღწევას წარმოადგენს 66,7%.

საერთოდ, თუ შერჩეული დადებითი პასუხების მიხედვით ვიმსჯელებთ, მიგვაჩნია, რომ 20-22 დადებითი პასუხის მქონე პიროვნებას გააჩნია საკმაო პოტენციალი, რომ შეძლოს ლიდერული საქმიანობის წარმართვა, რაც შეეძლება 17-20 დადებითი პასუხის მქონე პიროვნებებში ჩამალულია ლიდერობის თვისებები და მათ სჭირდებათ განსაზღვრული ძალისხმევა მათი გამოვლენისათვის, დაუზარელი შრომა და სურვილი სალიდერო საქმიანობის განვითარებისთვის.

კითხვაში ტესტები შედგენილი იყო ამერიკელი, ევროპელი და ქართველი ბიზნეს-ლიდერების თვისებების საფუძველზე, რომლებმაც მათი გამოცემებით მიაღწიეს უდიდეს წარმატებას. მათი ლიდერული თვისებების ანალიზმა გამოავლინა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორები. როგორც აღვნიშნეთ, 30 ტესტში სწორი პასუხი იყო ბიზნეს-ლიდერების წარმატების მომტანი თვისებები, დანარჩენი 60 ჩვენს მიერ დამუშავებული და შეტანილია ტესტებში. აქ სტუდენტების მიერ შერჩეული იქნა ჩვენი პასუხების 20%; მენარმეთა მიერ – 27%, მეცნიერებისა და პროფესორ-მასწავლებლების მიერ 30%, საშუალოდ 25%.

ეს მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ქართული მენტალიტეტისათვის არაა რთული ათვისებული იქნას ამერიკული, ევროპული და იაპონური ბიზნეს-ლიდერების თვისებები, საქმე კი იმაშია, რამდენად ეფექტიანად იქნება ისინი მათ მიერ გამოყენებული.

ამჯერად გვსურს შემდეგ საინტერესო მოვლენას შევხვით.

ჩვენი ანალიზით დავადგინეთ, რომ ბიზნეს ლიდერების თვისებების ზოგიერთი ფაქტორი ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

ბიზნეს ლიდერებისათვის მნიშვნელოვანია **საქმის სიყვარული**. სტივ ჯობსი ამბობს: ერთადერთი დიდი საქმე აკეთოთ არის რაც გიყვარს, თუ აქამდე არ გიპოვიათ ასეთი საქმე გააგრძელებთ ნუ გაჩერდებით.

ს. ჯობსს საქმის სიყვარული ყველა სიძნელეებზე გამარჯვების საშუალებას აძლევდა. იგი ამბობდა, თქვენც უნდა იპოვოთ სიყვარულის ობიექტი. უნდა იცხოვროთ როგორც საქმისთვის, ისე საყვარელი ადამიანებისთვის.

ბილ გეიტსი: მე რომ შემიძლოს არჩევანის გაკეთება სიმდიდრესა და მუშაობას შორის, შევირჩევდი მუშაობას.

ამანსიო ორტეგა: ყოველთვის მიყვარდა ჩემი სამუშაო და ახალ-ახალი რამის შესწავლა. ჩემი მთავარი მასწავლებელი იყო ცხოვრება და სამსახური.

კონოსუკე მიცუსიტა: ყოველთვის ყურადღების ქვეშ გყავდეს თქვენი საქმე.

ბიძინა ივანიშვილი: შენი საქმიანობა ნდობაზე უნდა იყოს დამყარებული. საქმეში წარმატებას ხელს უწყობს შენი სიყვარული სამშობლოს მიმართ. ერთგული იყავ საქმეში. ღრმად გააანალიზე მომავალი საქმე, რომელიც უნდა წამოიწყო. ნუ გაჩერდები ერთ საქმეზე, პარალელურად წამოიწყე სხვა, მაგრამ პერსპექტიული საქმე, ხელიდან არ გაუშვა უკვე შექმნილი პერსპექტივა.

კახაბერ ოქრიაშვილი: თუ საქმეს აკეთებ, ის აუცილებლად ხარისხიანად და კარგად უნდა გააკეთო. დალლას ხშირად იმის გამო ვერ ვგრძნობ, რომ მსიამოვნებს ის საქმე, რასაც ვაკეთებ.

პაატა კურტანიძე: საქმის დანყება განაპირობა დიდმა მოთხოვნამ და დეფიციტმა. პირველ რიგში, ვაყენებ მიზანს, რომ უნდა ვემსახურო ხალხს.

კახა კუჭავა: ჩემთვის მთავარია საქმის სიყვარული და დანყებული საქმის შეუპოვრად გაგრძელება და საქმის ბოლომდე მიყვანა.

საქმეში თანამშრომლობის, ურთიერთობებისა და კონკურენციის შესახებ.

ჯ. როკფელერი: საქმიანობის წარმართვისას უნდა იცოდეს სხვადასხვა ადამიანებთან შენი ქცევები ისე, რომ არ დაირღვეს მათთან საქმიანი ურთიერთობები.

- საქმიანობის განვითარებისათვის უნდა გაგაჩნდეს თვისებები, საქმის ცოდნა, ნდობა და გამჭვირვალობა;
- საქმიან ურთიერთობებში ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცი-ლებლად პირადად ესაუბრეთ მეორე მხარეს და დააჯერეთ ის საქმის გავრძელების ან შეწყვეტის აუცილებლობა;
- უნდა გაგაჩნდეს საქმეში ძირითადი პრინციპები და იგი უნდა ეფუძნებოდეს ფირმის მიერ გათვლილ მონაცემებს;
- საქმის განვითარებისათვის უნდა გაზარდოთ შემცველები და შექმნათ საქმიანი ადამიანების ბედნიერი კომბინაცია;
- ადამიანებთან ურთიერთობების უნარი – ესეც ერთგვარი საქონელია, რომლის ყიდვაც შეიძლება. მზად ვარ ასეთი ცოდნის შესაძენად იმაზე მეტი გადავიხადო, ვიდრე ამქვეყნად რამეში გადავიხდი;
- წარმატების მიღწევას ვუმაღლი ნიჭიერი თანამშრომლების ერთობლივ საქმიანობას.

ჰ. ფორდი: ხელქვეითებს არასოდეს ვეუბნები: მე მინდა ეს გააკეთოთ, არამედ ვამბობ: მაინტერესებს, ამის გაკეთებას შეძლებთ თუ არა.

- განსაკუთრებული ამოცანის შესრულებაზე კონსტრუქტორებს უთხარით, სულ ერთია რა დრო დაიხარჯება, იმუშავებთ მანან, სანამ შედეგს მიიღებთ;
- ყოველმა დამსაქმებელმა დაქირავებულს იმაზე მეტი უნდა გადაუხადოს, ვიდრე მისი კონკურენტები იხდიან, მუშაკი კი მონიდომებს და დამქირავებელს დაუკმაყოფილებს ამბიციებს;
- კონკურენციას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ვისაც საქმე უკეთ გამოსდის.

სტივ ჯობსი. იგი ყოველთვის ახერხებდა მოლაპარაკებას.

- უსმინეთ და ენდეთ საკუთარ შინაგან ხმას, მარცხშიც დაინახეთ დადებითი, შეეცადეთ იყოთ წარმატებული, ნუ ეცდებით იყოთ მართალი და იმუშავებთ ძალიან ბევრი. ბევრი მუშაობით ყველაფრის მიღწევა შეიძლება.
- დიდ ბიზნესს ვერასოდეს გააკეთებს ერთი ადამიანი, ყველაზე წარმა-ტებული ბიზნესი კარგი გუნდის შედეგია.
- წარმატების მისაღწევად დიდ ნიჭთან ერთად გუნდური მუშაობაა საჭირო;
- არ მოექცეთ იმ დოგმების ხაფანგში, რომელიც გეუბნება, რომ სხვისი აზრებით უნდა იცხოვრო, არ მისცეთ უფლება სხვათა მოსაზრებებს, გადაფაროს თქვენი შინაგანი ხმა;
- ძირითადად საჭიროა ისწავლოთ ერთობლივად მუშაობა და დარწმუნება, რომ ერთობლივად გადამწყვიტოთ ყველა ამოცანა.
- პარტნიორობა კონკურენტ კომპანიასთან წარმატებული იქნება;

ბიძინა ივანიშვილი: პარტნიორებთან მოლაპარაკებისას უნდა იყო კომუნიკაბელური, სიღრმისეულად ფლობდე საკუთარი კომპანიის საქმიანობას, მისდევ შენს ინტერესებს, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინე პარტნიორის ინტერესები;

- კონკურენცია სასარგებლოა, არ შეუშინდე მას, ეცადე გამოიყენო კონკურენტი, ითანამშრომლე მასთან და წარმატებას მიაღწევ. ამაზე კარგი ბიზნესის განვითარებისთვის არაფერი არ გამოუკონიათ;
- უნდა შეგეძლოს ადამიანის ხასიათის იმ თვისებების გამოვლენა, რომელიც ყველაზე მეტად წაადგება ერთობლივ საქმიანობას;
- არ აჰყვე ცდუნებას საზღაურის აღების მიზნით პარტნიორის სან-ნააღმდეგოდ;
- ერთდღე შეამავლებს, ეცადე შენ თვითონ დაამყარო კონტაქტი მწარმოებელთან, მიმწოდებელთან, საქონლის მესაკუთრებთან. პირველ რიგში ესაა პირადი ურთიერთობა და ორივენი ცდილობთ გამოავლინოთ თქვენი საქმიანობის წარმართვის უნარები, სიტყვის შესრულებაზე ნდობა და მეორე, უფრო ნაკლებია დანახარჯები.
- საქმის მართვაში ყოველთვის გამოიყენე კოლექტიური მმართველობის მეთოდები და პრინციპები;
- თუ შენთვის მიუღებელია თანამშრომლობა პარტნიორთან, ღროულად გაერიდე, ნაკლებად დაზარალდები;
- ისე განავითარე შენი საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი სამუშაო ადგილი შექმნა;
- იამაყე, როდესაც შენი კომპანიონი, ერთგული თანამოსაქმე შენი დახმარებით მდიდრდება.

დასკვნა

ბიზნეს ლიდერთა თვისებების გამოკვლევამ და მათმა ანალიზმა მოგვცა მეტად საინტერესო სურათი. ბიზნესის მართვის, განვითარებისა და მიდგომის ამერიკული, ევროპული, იაპონური ლიდერების მენტალიტეტი ემთხვევა ერთმანეთს, მართალია ეს მსგავსება არ არის ტოტალური, ყოვლისმომცველი, მაგრამ დამთხვევები მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ გავაანალიზეთ რამდენიმე ბიზნეს გენიისა და ლიდერების თვისებები, მაგრამ შეგვიძლია დადასტურებულად ჩავთვალოთ ჩვენი ინონვაციური მიდგომა – ბიზნეს ლიდერების თვისებების ეფექტიანი მეთოდით გამოკვლევა. ამ მიდგომის საფუძველზეა შედგენილი ქართველი ბიზნეს ლიდერებისათვის გამოსაყენებელი და ჩვენი შეხედულებით საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ეფექტიანი ლიდერობის თვისებათა და უნარების სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. ადაირი, „ეფექტიანი ლიდერი“, ლონდონი, 1983 წ.
2. ჰ. ქ. ალტმანი. „ლიდერობის ვარსკვლავური საათები“. 1999.
3. ამანსიო ორტეგა. ZARA. გამომცემლობა „პალიტრა L“. 2017.
4. გ. ამყოლაძე, ლ. ბუაძე, რ. ქუთათელაძე, „ახალი პარადიგმა საქართველოში ბიზნეს ლიდერებისთვისებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე“. ურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“. ტომი 5 გვ. 20-25. ქ.თბილისი.
5. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე, „მსოფლიოში გამოჩენილ მენარმეთა და მენეჯერთა წარმატების უნარი“, (თავი 5, ბიძინა ივანიშვილის წარმატების უნარი), თბილისი, 2007 წ. გვ. 169-185.
6. გ. ამყოლაძე, ლ. ბუაძე, მ. ლომსაძე, რ. ქუთათელაძე. „ბიზნეს ლიდერების განვითარების საფუძვლები“. საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებული, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, №2 (10), თბილისი 2017.
7. გ. ამყოლაძე, ე. გაბრიჭიძე, მ. გიორგობიანი, მ. ზედგენიძე, ნ. ხარაძე. „გლობალური ეკონომიკის პირობებში ლიდერობის განვითარების თავისებურებები“, საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებული, „მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“ №1, 2014. თბილისი, გვ. 141-145.
8. გ. ამყოლაძე, ა. გაბრიჭიძე, მ. გიორგობიანი, მ. ლომსაძე-კუჭავა, ნ. ხარაძე. „გლობალიზაცია და ქართველი ბიზნეს ლიდერების წარმატების ფაქტორების კვლევა“. საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებული, „მედიცინის და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“ №1, 2014. თბილისი, გვ. 146-151.
9. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე, „ლიდერობა, უნარები, სტილი და მეთოდები“, თბილისი, 2014.
10. გ. ამყოლაძე, ი. ამყოლაძე. „სიტუაციის მართვის ეფექტიანი ლიდერის ქცევისა და თავისებების შესწავლა“, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული, N5, თბილისი, 2016.
11. ენუქიძე „მცნებები მენეჯმენტის ღმერთისაგან“. კონოსუკე მაცუსიტას პირადი იაპონური სასწავლო ეკონომიკური პალიტრა 2-8.12. 2013.
12. ნორთჰაუზი პ., „ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა“, თბილისი 2010.
13. უჯანია ი., კიკნაძე გ., „ლიდერი და ლიდერობა“, თბ. 2009.
14. ჯ. როკფელერი, „გამდიდრების ხელოვნება, მოსკოვი „ალფავიტი“, (რუს. ენ.), 1998.
15. სინერჯი ჯგუფის წიგნები. „ლიდერობის ხელოვნება“, თბილისი, 2012.
16. ჰ. ფორდი. „ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევები“ რუს. ენ. მოსკოვი. ფინანსები და სტატისტიკა. 1989.
17. ხარაძე ნ. „ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება“, ნაწ. I, თბ. 2009.
18. Stogdill, Handbook of Leadership: A Survey of Theory and Research, New York, free press.
19. И. К. Адизес. «Стили Менеджмента», 2009.

რეზიუმე

გოჩა ამკოლაძე, ლევან ბუაძე, რუსუდან ქუთათელაძე

ამერიკელი, ევროპელი და იაპონელი ლიდერების მენტალიტეტის შედარება ქართველი ბიზნეს ლიდერების მენტალიტეტთან

ნაშრომში მოცემულია ქართველი და უცხოეთის ქვეყნების ბიზნეს-ლიდერთა თვისებებისა და მენტალიტეტის შედარება და ანალიზი. ბიზნეს ლიდერების საქმიანობის პერიოდი ეხება უკანასკნელ 100 წლიან პერიოდს. ლიდერთა საქმიანობის წარმატება ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, ბაზრის ცვლილებების სიტუაციებზე, ბიზნეს-ლიდერის პირად თვისებებზე და მათ უნარზე - ეფექტიანად მართოს ცვლილებები.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ განვითარებული ქვეყნის ბიზნეს-ლიდერთა ლიდერული თვისებები თითქმის 80% პროცენტით ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო მათ მიმართ ქართველი ბიზნეს-ლიდერებისა - 50%-მდე. მაგრამ, ეს უკვე წარმატებაა და საქმე გვაქვს ქართველ ბიზნეს-ლიდერთა ძლიერ ლიდერულ პოტენციალთან, რომლის განვითარებას მეტი მეტი მუშაობა და სწავლა სჭირდება.

საკვანძო სიტყვები: ლიდერი, ანალიზი, ბაზარი, თვისებები, სიტუაცია.

Summary

Gocha Amkoladze, Levan Buadze, Rusudan Kutateladze

Compare mentality of American, European and Japanese leaders with Georgian business leaders mentality

The article compares and reviews attributes and mentality of Georgian and foreign business leaders. The period of review is for the last 100 years. It is observed that successes of business leaders are largely associated with the level of economic development of their countries, changes in market contexts, personal characteristics and competencies of business leaders to effectively manage changes.

Our analysis showed that leadership qualities in developed countries are almost 80% identical, while for Georgian leaders such an overlap is 50%. This can be considered a success as this attests to an enormous leadership potential of Georgian business leaders, which needs to be further developed and studied.

Key words: leader, analysis, market, characteristics, situation.

Резюме

Гоча Амколадзе, Леван Буадзе, Русудан Кутателадзе

Сравнение менталитет американских, европейских и японских лидеров с менталитетом бизнесменов из Грузии

В данной статье приведено сравнение менталитета и анализ качеств грузинских и иностранных бизнес-лидеров, рассмотрен период деятельности бизнес-лидеров за последние 100 лет. Успех деятельности лидеров в основном зависит от развития экономики страны, ситуации рыночных изменений, личных качеств и навыков бизнес-лидеров эффективно управлять изменениями.

Нами проведенные исследования показали, что почти 80% лидерских качеств бизнес-лидеров развитых стран идентичны, в то время как, совпадение качеств грузинских бизнес-лидеров составляет 50% по отношению к иностранным. Данный факт уже считается успехом, и свидетельствует о мощном лидерском потенциале грузинских бизнес-лидеров, требуемом дальнейшего развития и обучения.

Ключевые слова: лидер, анализ, рынок, качества, ситуация.

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

სპორტსმენის გადალლის ზოგიერთი მიზეზი და მისი აცილების საშუალებები

თ. ლორთქიფანიძე¹, ე. მაჩაიძე² ასოცირებული პროფესორები

საქართველო, თბილისი, საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი, 300 არაგველის II შესახვევი, N13. ელ.ფოსტა: T.lordkipanidze@yahoo.com¹,

ტელ: 593324518

საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი²

შესავალი

გადალლის ზოგიერთი მიზეზი

სპორტსმენის გადალლის მანიშნებელი ორგანიზმის შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითებაა. იმისათვის, რომ დროულად ავირიდოთ და გამოვავლინოთ გადალლა-გადატვირთვა, საჭიროა თავდაპირველად მის დახასიათებაზე შევჩერდეთ.

ი.მ. სეჩენოვას, ი.პ. ავლოვას, პ. ვედენსკოვისა და ა.ა. უხტომსკის გამოკვლევებით დადგინდა, რომ კუნთების მუშაობისას გადატვირთვა, უპირველესად, არა კუნთებში, არამედ ნერვიულ სისტემაში მიმდინარეობს.

ძირითადი ტექსტი

როგორც ცნობილია, ორგანიზმის შრომისუნარიანობის დაქვეითება წარმოიქმნება ნივთიერებათა ცვლის დარღვევის გამო, რაც ორგანიზმში არასაკმარისად მიწოდებული ჟანგბადისა და დაგროვილი პროდუქტების დაშლასთან (რძის მჟავა, ნახშირწყლები და სხვ.) ასოცირდება კუნთებსა და სისხლში. ეს, უპირველესად, ცენტრალური ნერვიული სისტემის შრომისუნარიანობაზე გამოისახება, რაც ნორმალური, ურთიერთდამოკიდებული პროცესების დარღვევაში, გაღიზიანებასა და დამუხრუჭებაში ვლინდება.

გადალლის ხარისხი მუშაობის ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზე დამოკიდებულია, ასე რომ, რაც მეტად დაძაბულია მუშაობა, მით უფრო სწრაფად შეიძლება გადაიღალოს ორგანიზმი და პირიქით. ამიტომ, ცურვაში, სპორტული წვრთნის პროცესში, ინტენსიურ დაძაბულ მუშაობას მნიშვნელოვანია ენაცვლებოდეს აუცილებელი შუალედური დასვენებები.

აქედან გამომდინარე, თუ დაძაბული წვრთნისას საჭირო დასვენების რეჟიმს არ დაეიცავთ, მაშინ, თვით კარგად განვრთნილ სპორტსმენსაც კი შეიძლება გადალლა დაეწყოს. სპორტულ პრაქტიკაში ასეთ მდგომარეობას გადატვირთვას ეძახიან.

სპორტსმენის გადატვირთვამ შესაძლოა ქვემოთ ჩამოთვლილი არასასურველი შედეგები გამოიწვიოს:

- 1) წვრთნის დროს ზედმეტი დაძაბულობა მაშინ, როცა ვარჯიშის ინტენსივობა და მოცულობა არ შეესაბამება სპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკურ შესაძლებლობებს მომზადების მოცემულ ეტაპზე;
- 2) ფორსირებული-აჩქარებული მომზადების დროს, როდესაც სპორტსმენის ცდილობს აანაზღაუროს გამოტოვებული წვრთნები და შეჯიბრებამდე დარჩენილ ძალიან მოკლე დროში აჩქარებულად ვარჯიშობს იმ იმედითა და სურვილით, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს კარგ შედეგს, არასწორი დამოკიდებულებაა, რადგან ამან სპორტსმენი შეიძლება მიიყვანოს იქამდე, რომ ორგანიზმი ვერ გაუმკლავდეს აჩქარებულ - ინტენსიურ მუშაობას (ჯერ კიდევ მზად არ არის ამისათვის) და დგება ორგანიზმში გადალლის გამოხატულება. ასეთ შემთხვევაში ირღვევა, სწორედაც, დატვირთვის თანდათანობითი გაზრდის პრინციპი, რაზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ;

- 3) წერთნის პროცესში საჭირო, აუცილებელი დასვენების რეჟიმის დარღვევა; თუ მოცურავის მიერ სისტემატური, რეგულარული გამეორებითი მუშაობა სრულდება მაშინ, როცა გასული ვარჯიშების დროს გამოვლენილი გადაღლა ჯერ კიდევ მთლიანად გავლილი არ არის, რაც აუცილებლად გამოიწვევს სპორტსმენის საბოლოო გადატვირთვას;
- 4) უძილობამ, ან ცოტა ძილმა და არასაკმარისმა დასვენებამ სპორტული წერთნის პროცესში, ასევე, ისეთმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ, როგორებიცაა: მუშაობა, მეცადინეობა სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. შესაძლოა მიგვიყვანოს გადაღლის არასასურველ გამოვლენამდე, რაც წარმოუდგენლად დამლუპველია სპორტსმენის მომავალი კარიერისათვის.
- პრაქტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კარგ სპორტულ ფორმაში მყოფ მოცურავს თავისი მაღალი შესაძლებლობები და შედეგები მოულოდნელად დაუკარგავს; ამის მიზეზი კი ყოფილა: რეჟიმის დარღვევა, ალკოჰოლური სასმელების გამოყენება და სხვა. მსგავსი მიზეზები მკვეთრად უარყოფითად გამოვლინდება ორგანიზმის პრომისუნარიანობაზე და აქედან გამომდინარე საგანგებოდ უნდა იქნეს დაცული სპორტული რეჟიმი წერთნის პერიოდში, რათა მოცურავემ სასურველ მაღალ შედეგს მიაღწიოს.
- ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სწორად ორგანიზებული ჩატარებული სანერთნო მეცადინეობები, ასევე, მკაცრად დაცული სპორტული რეჟიმი გამოიქცხავს გამოვლენილ გადატვირთვებსა და სპორტსმენთა კარიერულ დასასრულს.
- გადაღლის თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მოცურავეთათვის გონივრულად ორგანიზებულ სამედიცინო კონტროლსა და სწორად დასმულ დიაგნოზს.

გადატვირთვის ზოგი ნიშნები

როგორც ზოგიერთი ფიზიოლოგიური გამოკვლევა გვიჩვენებს, გადაღლა ვლინდება ცენტრალური ნერვიული სისტემის გამაღიზიანებლებსა და შემათხვევების ურთიერთკავშირის დარღვევის პროცესებში, რა დროსაც შეიმჩნევა მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, ეს კი მოცურავის ტექნიკაზე ნათლად აისახება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პარალელურად მიმდინარეობს ორგანიზმის სხვადასხვა სისტემების ფუნქციური რეგულაციების დარღვევაც. სამედიცინო დასკვნებით დადგინდა, რომ ორგანიზმის გადაღლა გამოიხატება შემდეგი ზოგადი ნიშნებით:

- 1) პულსის მკვეთრი გახშირება და სისხლის წნევის (განსაკუთრებით მინიმალურის) მომატება შედარებით ზომიერი დატვირთვის შემდეგ;
- 2) ორგანიზმის აღდგენის პერიოდის მნიშვნელოვანი გაზრდა მუშაობის შემდეგ;
- 3) გულის ნორმალური რითმის შემცირება და დარღვევა (არითმია);
- 4) გულის მიდამოებში ტკივილი, ჩივილი, ქოშინი და ა.შ.

ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემა ვერ უმკლავდება მოცემული მუშაობის პროცესს. გადაღლის დროს ასევე შეიმჩნევა სხეულის წონის დაკლება; მცირდება ცალკეული ჯგუფის კუნთების ძალაც და სიცოცხლისადმი სწრაფვა; ხშირ შემთხვევაში აღინიშნება ისეთი ზოგადი ნიშნები, როგორიცაა: საერთო სისუსტე, მადის დაკარგვა, ცუდი განწყობა, უძილობა, არასასურველი დამოკიდებულება ვარჯიშისადმი, მოცურავე სწრაფად იღლება და ა.შ.

ზემოთჩამოთვლილი ყოველი გამოვლინება მჭიდროდ უკავშირდება პირველ რიგში ცენტრალური ნერვიული სისტემის გამოფიტვასა და დაუძლურებას, რის შედეგადაც მიიღება არასრულფასოვანი მუშაობა და სპორტული რეჟიმის დარღვევა, თუმცა, ვარჯიშზე გადატვირთვის თავიდან აცილება შესაძლებელია მასინ, როდესაც ასეთი მდგომარეობის წარმოჩენისთანავე მიღებული იქნება შესაბამისი საჭირო და დროული ზომები.

ზოგიერთი გამაფრთხილებელი რჩევა გადატვირთვასთან დაკავშირებით

მოცურავის გადაღლა, იგივე გადატვირთვა, შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ სპორტული რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში წვრთნის დროს. ამიტომ ვარჯიშის ძირითადი პრინციპების დაცვა, განსაკუთრებით შესვენების ინტრვალების გამოყენება ინტენსიური დატვირთვისას, აგვარიდებს სპორტსმენის გადაღლის, გადატვირთვის, გადაქანცვის, გადანვის მწვავე გამოვლინებებს და დაგვეხმარება გადაღლის დაძლევაში. მისი აღმოჩენისთანავე სპორტსმენმა უპირველესად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, რათა გამოავლინდეს გადატვირთვის ხარისხი.

გადაღლის ხარისხიდან გამომდინარე, სასურველია მოცურავემ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

გადატვირთვის ნიშნების გამოვლენისთანავე საკმარისია, ცურვის მოცულობასთან ერთად, შეამციროს დატვირთვის ინტენსივობაც ისე, რომ არ შეწყვიტოს ვარჯიში. რეკომენდირებულია მეცადინეობებზე ისეთი სავარჯიშოების ჩართვა, რომლებიც ცურვისათვის აუცილებელი ძირითადი სავარჯიშოებისაგან განსხვავებულია, მაგ: წყალში თამაშები, ხტუნვები წყალში და ა.შ.; აუცილებელია სავალდებულო დღის რეჟიმის დაცვა, განსაკუთრებით გასამახვილებელია ყურადღება კარგ დასვენებაზე.

1 – 2 თვის შემდეგ, მსგავსი დაბალი დატვირთვით მეცადინეობების შემთხვევაში, მცირე ხარისხის გადაღლები აღმოიფხვრება და ორგანიზმის მდგომარეობა სრულყოფილად აღდგება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, წვრთნის აღდგენისთანავე საჭიროა დატვირთვა თანდათანობით გავზარდოთ, რათა სპორტსმენის გადაღლა კვლავ არ გამოვლინდეს.

ძლიერი გადატვირთვის შემთხვევაში კი სპორტსმენმა აუცილებელი და მნიშვნელოვანია დროულად გაიაროს ღრმა დისპანსერული სამედიცინო შემოწმება, რათა თავიდან იქნას აუცილებელი მძიმე უარყოფითი შედეგები.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზმის შრომისუნარიანობის მაღალი დონის მისაღწევად, სრულყოფილი ტექნიკის დასაუფლებლად, ტექტიკური ცურვის სხვა საჭირო თავისებურებებისა და მაღალი სპორტული დაოსტატებისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია მრავალწლიანი უწყვეტი წვრთნები.

რეგულარული ვარჯიშის პროცესში ორგანიზმი თანდათანობით ეგუება მოთხოვნილებათა ზრდას. აქედან გამომდინარე ორგანიზმის შრომისუნარიანობაც უმჯობესდება და შესაძლებელი ხდება ყველა, გაცილებით მზარდი ფიზიკური დატვირთვის შესრულება.

ამას ემატება ისიც, რომ ფუნქციონალური შესაძლებლობების განვითარება, რომელიც ერთ სპორტულ სეზონში მიიღწევა, მომდევნო წლებშიც განმტკიცდეს და განვითარდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს.მ. ვაიცახოვსკი; კ.ა. იანისევსკი. მსოფლიოს უძლიერეს მოცურავეთა მომზადება;
2. ზ.პ. ფირსოვი. ლაპარაკობენ ცურვის ოსტატები;
3. ინტერნეტი;

რეზიუმე

სპორტსმენის გადაღლის ზოგიერთი მიზეზი და მისი აცილების საშუალებები თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ედიშერ მაჩაიძე

მრავალწლიანი წვრთნის შეცვლის მცდელობა მოკლედროინდელ ფორსირებული ანუ ინტენსიური მომზადებით, არა თუ კარგ შედეგს იძლევა, შესაძლოა ზიანიც კი მიაყენოს სპორტსმენის ჯანმრთელობას.

ამიტომაც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა მოცურავის სრულყოფილ დაოსტატებაში ითვლება სწორად დაგეგმილი სპორტული წვრთნები და დატვირთვის რეგულირება, განერილი მთელი მისი სპორტული მოღვაწეობის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: გადატვირთვა, კუნთები, ნერვიული სისტემა, ნივთიერებათა ცვლა, ინტენსივობა, დიაგნოზი, გამაღიზიანებლები, რეგულაციები.

Summary

Teimuraz Lortkipanidze, Edisher Machaidze

Some of the reasons for overwork of an athlete and means of getting rid of them

Attempting to change the long-term training with short-term intensive training will not have good result, it can even harm the athlete's health.

Therefore, one of the most important prerequisites for developing perfect swimming skills, is considered properly planned exercise in sports, training regulation throughout his sports career.

Keywords: restart, muscles, nervous system, substance shift, intensity, diagnosis; irritants; regulations.

Резюме

Лорткипанидзе Т., Мачаидзе Э.

Некоторые из причин переутомления спортсмена и средства избавления от них

Попытки заменить многолетнюю тренировку кратковременной форсированной подготовкой не только не дадут хороших результатов, но и могут нанести вред здоровью спортсмена.

По этому важнейших условий совершенствования мастерства пловцов является правильное планирование и регулярные нагрузки на протяжении всей спортивной деятельности.

Ключевые слова: перезагрузка, мышцы, нервная система, обмен веществ, интенсивность, диагноз, раздражители, регуляций.

**მოცურავეთა სპორტული წვრთნის ზოგიერთი ფიზიოლოგიური პრინციპი
თ. ლორთქიფანიძე¹, ე. მაჩაიძე² ასოცირებული პროფესორები**

საქართველო, თბილისი, საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო
უნივერსიტეტი, 300 არაგველის II შესახვევი, N13. ელ.ფოსტა: T.lordkipanidze@yahoo.com,
ტელ: 593324518

საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი²

შესავალი

ცნობილია, რომ ცურვის ცოდნა და თითოეული მოძრაობის სრულყოფილება ისეთ ფიზიოლოგიურ პრინციპებში დევს, როგორებიცაა: მოძრაობის მრავალჯერადი გამეორება; დატვირთვის თანდათანობითი გაზრდა; ორგანიზმის მრავალმხრივი მომზადება და მისი მაქსიმალური დატვირთვა.

ძირითადი ტექსტი

მოძრაობის მრავალჯერადი გამეორება

ძირითადი ცოდნა და სრულყოფილი მოძრაობის ჩვევები ცურვაში მოძრაობათა მრავალჯერადი გამეორების პრინციპში დევს, ამიტომ ცურვის სავარჯიშოების მრავალჯერადი გამეორება აუცილებელ პირობად ითვლება, როგორც ცურვის რაციონალური ტექნიკის დასაუფლებლად, ისე მოცურავის ორგანიზმის შრომისუნარიანობის ასამაღლებლად.

ცნობილია, რომ წვრთნის შეწყვეტის პერიოდში განვლილი ვარჯისების დროს გამომუშავებული დროებითი პირობითი რეფლექსები, თანდათანობით დუნდება და აქედან გამომდინარე, მცირდება სპორტსმენის ისეთი ფიზიკური თვისებები, როგორებიცაა: ძალა, სისწრაფე და გამძლეობა, რაც შემდგომში მოცურავის წვრთნის პერიოდში უარყოფითად აისახება.

ვარჯისის დროს, შესვენებების შემდეგ საგრძნობლად ეცემა სპორტსმენის შრომისუნარიანობა და სპორტული შედეგებიც უარესდება. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ხანგრძლივია შესვენება, მით უფრო შესამჩნევია სპორტსმენის შრომისუნარიანობის შემცირება.

სპორტული ტექნიკის შენარჩუნებისა და შემდგომი სრულყოფილების, აგრეთვე, ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობების ასამაღლებლად, აუცილებელია, რეგულარული წვრთნა მთელი ზაფხულისა და წლის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს, როგორც სპორტული ვარჯიშების რაოდენობის გაზრდას, ისე მოცურავის შრომისუნარიანობის გაუმჯობესებას.

ამიტომ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ მრავალჯერადი გამეორებითი მუშაობის დროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ვარჯიშზე ცალკეულ სავარჯიშოებს შორის დასვენების ხანგრძლივობის ინტერვალსა და ყოველ მომდევნო წვრთნებს შორის გამოყენებული სავარჯიშოების შესრულებას, მთლიანობაში მათ შორის ურთიერთკავშირს, დამოკიდებულებასა და ინტენსიურად შესრულებას ყოველ მომდევნო მუშაობაში.

ვარჯისის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაღაც ინტერვალის შემდეგ ყოველთვის იწყება მომდევნო სავარჯიშო ან სანვრთნო გაკვეთილი. მაგალითად, თუ შესვენება იყო ძალიან ხანმოკლე, მაშინ სპორტსმენის მომდევნო მუშაობა შეიძლება არ გავზარდოთ, პირიქით, შევამციროთ მისი შრომისუნარიანობა, რადგან მოცურავის ორგანიზმი ჯერ კიდევ რჩება გადაღლილი, ხოლო თუ დასვენების ინტერვალის ზედმეტად ხანგრძლივია, მაშინ მომდევნო მუშაობის დადებითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

შესვენებებს შორის ინტერვალის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სპორტსმენის მომზადების დონეზე, მაგრამ, როგორც წესი, წვრთნის ხარისხის ასამაღლებლად დასვენებებს შორის შუალედები ჩვეულებრივ მცირდება.

დატვირთვის თანდათანობითი გაზრდა

ეს პრინციპი ძირითადად სხვადასხვა დატვირთვის მიხედვით ორგანიზმის ფიზიოლოგიურ შემგუებლობაში დევს.

ცურვაში, მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად, სპორტსმენს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება მაქსიმალური დატვირთვის გადატანა, განსაკუთრებით შეჯიბრის პირობებში. თუმცა, იმისათვის, რომ მოცურავე მოვამზადოთ ასეთი დიდი დატვირთვისათვის (ისე, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი არ მივაყენოთ), აუცილებელია მკაცრად დავიცვათ დატვირთვის თანდათანობითი გაზრდის პრინციპი. რაც შეეხება მაქსიმალურ დატვირთვასა და მზადებას ამა თუ იმ მოცემულ ეტაპზე, იგი უნდა შეესაბამებოდეს სპორტსმენის ორგანიზმის ამტანობისა და გამძლეობის ხარისხს, სწორედ ზემოაღნიშნულის მიხედვით უნდა გაიზარდოს ვარჯიშები და სწვრთნო დატვირთვა, ეს კი ხელს შეუწყობს სპორტსმენის შრომისუნარიანობის ამაღლებას.

მოცურავის ორგანიზმის მომზადება დიდი და მაქსიმალური დატვირთვისათვის, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იყოს თანდათანობითი. ამიტომ, მწვრთნელი სპორტსმენის დატვირთვის ხარისხის დაგეგმვისას, ვალდებულია განახორციელოს მოცურავის ხშირი სამედიცინო კონტროლი, რაც დაეხმარება მას სწორად ამოირჩიოს სავარჯიშო საშუალებები და გამოყოს ინტენსიური გაკვეთილების ოდენობა წვრთნის მოცემულ ეტაპზე. აუცილებლად უნდა გახსოვდეთ ისიც, რომ დატვირთვასა და ვარჯიშის ზღვრის გაზრდამ სპორტსმენის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე (მაგ: მოსამზადებელი პერიოდის დასაწყისში) შეიძლება მოცურავის გადაღლა და გადატვირთვა გამოიწვიოს.

ორგანიზმის მრავალმხრივი მომზადება

პრაქტიკა და ექსპერიმენტები ცხადყოფენ, რომ ცელკეული ფიზიკური მონაცემები, მაგალითად ძალა, სპორტსმენს ემატება მაშინ, როცა ერთდროულად ვიყენებთ სიჩქარისა და გამძლეობისათვის მნიშვნელოვან განსხვავებულ სავარჯიშოებს.

დღეისათვის უკვე ცნობილია, რომ ცურვაში მხოლოდ მრავალმხრივი ფიზიკური მომზადების ბაზაზეა შესაძლებელი სპორტული შედეგებისა და მაღალი საერთაშორისო დონის მიღწევა სპორტულ სამყაროში. ამიტომ, სპორტულ პრაქტიკაში, მოცურავეებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ დამხმარე სავარჯიშოები სპორტის სხვადასხვა სახეობიდან (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, თხილამურები და ა.შ), რაც ხელს შეუწყობს საერთო ფიზიკური განვითარების დონის ამაღლებას. თუმცა, მსგავსი სავარჯიშოები უნდა იყოს ყველა სპორტსმენისათვის არა საერთო, არამედ ცურვის სახეობის, სპეციფიკისა და მოცურავის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

ასე მაგალითად, იმ მოცურავეთათვის, რომელნიც სპეციალიზირდებიან ბრასის, კროლისა და მკერდზე ცურვის სახეობებში, ფეხის კუნთების სიძლიერის გასავითარებლად გამოყენებული სავარჯიშოები ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს, ვინაიდან ბრასის მოცურავე ფეხების მოძრაობის ხარჯზე მეტად მოძრაობს წინ, კროლისტი კი - ხელების მუშაობის ხარჯზე; ამას გარდა მათი ფეხების მოძრაობის ფორმა და სიძლიერეც განსხვავებულია ცურვის დროს.

ამიტომ, მოცურავეთა ფიზიკური განვითარების ხარისხი არა მხოლოდ საერთო ხასიათის უნდა იყოს, არამედ, - კონკრეტულიც, ცურვის თითოეული სახეობის გათვალისწინების შესაბამისი.

მრავალმხრივი ფიზიკური განვითარების ასამაღლებლად, მთლიანობაში, მოცურავეები წვრთნის პროცესში, ფართოდ იყენებენ წყალში ცურვის სხვადასხვა სტილს (ბრასი, კროლი და ა.შ), მიუხედავად სპორტსმენის ვიწრო სპეციალიზაციისა, ასეთი მრავალგვარი ცურვით მომზადება კარგად მოქმედებს ყველა

სახეობის მოცურავეთა კუნთების განვითარებაზე, სხვადასხვა სტილით ცურვა განსაკუთრებით რეკომენდირებულია სპორტსმენის მომზადების პირველ ეტაპზე.

მაქსიმალური დატვირთვა

დიდი და მაქსიმალური დატვირთვის მიღება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სპორტსმენის ორგანიზმის შრომისუნარიანობის ამაღლებაზე. წვრთნის პერიოდში მხოლოდ ასეთი დატვირთვის გზითაა შესაძლებელი მაღალი და რეკორდული შედეგების მიღწევა სპორტის მრავალ სახეობაში, მათ შორის - ცურვაშიც.

თუმცა, არ არის საჭირო ბოროტად გამოიყენო მაქსიმალური დატვირთვა და მიაღწიო წარმატებას მაშინ, როცა ორგანიზმი ამისათვის ჯერ კიდევ მზად არ არის. დატვირთვის დონე სპორტსმენის შესაძლებლობებიდან გამომდინარე თანდათანობით უნდა გაიზარდოს.

წვრთნის დროს მხოლოდ სწორი და გონივრული მაქსიმალური დატვირთვა ქმნის სპორტსმენის ორგანიზმის ყველა საუკეთესო ფუნქციის განვითარებასა და შრომისუნარიანობის ამაღლებას.

სწორედ მაქსიმალური დატვირთვა წარმოადგენს ორგანიზმში მოთხოვნილებათა ამაღლების წინაპირობას, თუმცა, ვარჯიშის დროს, სხვადასხვა სისტემის გამოყენებით, წარმოიქმნება დროებითი სიძნელეები, რომლებიც წვრთნის განვითარების პერიოდში თანდათანობით გადაილახება, რაც უზრუნველყოფს ორგანიზმში მოთხოვნილებათა ამაღლების ახალი, დროებითი კავშირების დადგენას და უწინდელი რთული დატვირთვები შემდგომში გაცილებით მარტივად სრულდება.

დასკვნა

პროფესორმა ა.ნ. კრესტოკოვმა თავის შრომებში დაასკვნა, რომ მაქსიმალურ დატვირთვას საშუალო და მცირე დატვირთვები უნდა ენაცვლებოდეს; ასეთი მონაცვლეობა შეიძლება იყოს როგორც სავარჯიშოებს შორის ერთ მეცადინეობაზე, ასევე ცალკეულ წვრთნებს შორის. მაგ: თუ მიმდინარე ვარჯიშზე გამოიყენეთ მაქსიმალური დატვირთვა (დაუუშვათ წინასწარი საკონტროლო გაცურვა), მაშინ, მომდევნო მეცადინეობაზე, საჭიროა საშუალო ან მცირე დატვირთვები. ამგვარი მონაცვლეობა არა მხოლოდ სპორტსმენის გადალლას გამორიცხავს, არამედ ხელს შეუწყობს ორგანიზმის შრომისუნარიანობის ამაღლებას.

მაქსიმალური დატვირთვები რეკომენდირებულია თანდათანობით გაიზარდოს შეჯიბრის წინ, ეტაპობრივად მოსამზადებელ წვრთნებზე ისე, რომ გათვალისწინებული იქნას შემოთავაზებული დისტანცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ავტორთა კოლექტივი. სპორტული ცურვა;
2. ზ.პ. ფირსოვი- „ლაპარაკობენ ცურვის ოსტატები“;
- 3.ინტერნეტი.

რეზიუმე

თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ედიშერ მაჩაიძე

მოცურავეთა სპორტული წვრთნის ფიზიოლოგიური პრინციპი

წვრთნის პროცესი აუცილებელია დაიგეგმოს ძირითადი დისტანციების მაქსიმალური სისწრაფით გაცურვისათვის, ამავდროულად მოახლოებული შეჯიბრებისათვის უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც დადებითად იმოქმედებს მოცურავის სპორტული შედეგების ამაღლებაზე.

საკვანძო სიტყვები: ფიზიოლოგიური; სრულყოფილება; მრავალჯერადი; დატვირთვა; გადაღლა; მაქსიმალური; რაციონალური, შრომისუნარიანობა; ფიზიკური; ინტენსიური; ინტერვალი; სანვრთნო; რეფლექსები.

Summary

Teimuraz Lortkipanidze, Edisher Machaidze

Some physiological principles of swimmers sporting training

The Training process is necessary to be planned so that to achieve the highest speed in swimming the basic distance. At the same time it is important to create such conditions for upcoming competitions, which will have positive influence on a swimmer and raise sports results.

Key words: Physiological; perfection; multiple; Load; tired; Maximum; Rational; Workability; physical: Intense; interval; Training: Reflexes.

Резюме

Теймураз Лорткипанидзе, Едишер Мачайдзе

Некоторые физиологические принципы спортивной тренировки пловцов

Процесс обучения необходимо планировать, чтобы достичь максимальной скорости плавания на базовом расстоянии. В то же время важно создать такие условия для предстоящих соревнований, которые окажут положительное влияние на пловца и повысят спортивные результаты.

Ключевые слова: физиологический; совершенство; множественный; нагрузка; усталость; максимальное; рациональное; работоспособность; физическое; Интенсивный; интервал; обучение; рефлекс.

რამოდენიმე მოსაზრება და კომენტარი ჯეიმს კაუსილმანის ცურვის სწავლების შესახებ

თ. ლორთქიფანიძე¹, ე. მაჩაიძე² ასოცირებული პროფესორები

საქართველო, თბილისი, საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი, 300 არაგველის II შესახვევი, N13. ელ.ფოსტა: T.lordkipanidze@yahoo.com¹,

ტელ: 593324518

საქართველო, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი²

შესავალი

ჩვენი მიზანია წარმოდგენილ სტატიაში შევხებით ცურვის ლეგენდარული თეორეტიკოსისა და პრაქტიკოსის, ჯეიმს კაუსილმანის კონცეფციას, რომელიც, ვფიქრობთ, ეხმიანება თანამედროვე მეთოდოლოგიას არა მხოლოდ სპორტული შეჯიბრების თვალსაზრისით, არამედ ზოგადად, ადამიანის ფიზიკურ და მენტალურ აქტივობას სხვადასხვა სფეროში.

ძირითადი ტექსტი

კაუსილმანი თავის ცნობილ ნაშრომში „ცურვა“ ხაზს უსვამს სწავლების პროცესს, როგორც შემოქმედებით ურთიერთობას მწვრთნელსა და სპორტსმენს შორის. მისი კონცეფციის თანახმად, მწვრთნელის მიზანია არა უშუალოდ საცურაო ტექნიკის, ტაქტიკისა და სტრატეგიის სწავლება, არამედ ცურვის შემსწავლელის შტაგონება საკუთარი, ინდივიდუალური გამოცდილების შესაძენად, რათა ადამიანი თავად დაეუფლოს ცურვის ხელოვნების მწვერვალს. მწვრთნელი ქმნის მხოლოდ ფსიქოლოგიურ სიტუაციას ასეთი ინდივიდუალური თვითშემეცნებისათვის.

ეს ახალი, ორიგინალური მიდგომა ცურვის სწავლების ზოგადი წესებისა და იდეების ერთგვარ უარყოფასაც კი გულისხმობს, ინდივიდის შემოქმედებითი ინტუიციის გაძლიერების მიზნით.

„მწვრთნელი კი არ ზრდის ჩემპიონს, პირიქით, ჩემპიონი ზრდის მწვრთნელს“- ეს აზრი ეხმიანება მის მეთოდოლოგიას.

ვფიქრობთ, რომ სპორტული შეჯიბრების ოპტიმალური შედეგი არ წარმოადგენს კაუსილმანის სწავლების ჭეშმარიტ მიზანს. გამარჯვება არის მხოლოდ შედეგი და არა მიზანი ამ ახალი ფსიქოლოგიური ტრენინგებისა. მისი თეორიული თვალსაზრისი, როგორც ჩანს, უფრო ფართოა, ვიდრე ამ თეორიის პრაქტიკული რეალიზაცია. კაუსილმანის მიზანი გახლავთ ის, რომ ცურვის შემსწავლელმა, უპირველეს ყოვლისა, შეიყვაროს წყალი, რადგან ცურვა ადამიანის თანდაყოლილი, ჯერ კიდევ დაბადების წინარე მდგომარეობაა და ადამიანი ემოციურად უნდა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ, თანდაყოლილ ინსტიქტს. დედის მუცლიდან თანდაყოლილი ბუნებრიობა კი განასხვავებს ცურვას სპორტის სხვა სახეობებთან.

ცურვის მიმართ სიყვარული გულისხმობს ადამიანის ფსიქიკაში წყლის შეგრძნების ინსტიქტის აღდგენასა და განვითარებას. ეს შესაძლებლობა ადამიანს ბუნებრივად ეძლევა, მაგრამ ხელოვნურ სრულყოფასაც მოითხოვს.

ჩვენი მოსაზრებით, კაუსილმანის საცურაო კონცეფციის საფუძველზე, შეიძლება განვასხვავოთ ორი ტიპის სპორტული მოძრაობა:

- ა) ფიზიკური მოძრაობა, რომელიც ორიენტირებულია ოპტიმალურ შედეგებზე;
- ბ) იდეალური მოძრაობა, ანუ იდეალური მოდელი.

იდეალური მოდელი გულისხმობს მხოლოდ ლამაზ და სრულყოფილ მოძრაობას. წარმოადგენს მოცურავის ფიზიკურ და მენტალურ აქტივობას, რომელიც გამოხატავს გარკვეულ იდეას; ეს იდეა შეესაბამება ცურვის უზოგადეს მიზანსა და საცურაო სიტუაციის ბუნებრივ შეგრძნებას.

წყალთან ბრძოლის ნაცვლად სიყვარული მის მიმართ, წყლის სტიქიასთან განუყოფელი შერწყმის მიზნით!

- აი რა განასხვავებს კაუსილმანის მოწაფეს სხვა დანარჩენი მოცურავისგან.

როდესაც სპორტსმენი მიმართავს „კროლს“, ის ხელებს ფრთებივით იქნევს და ბაძავს ჩიტს, რომელიც ებრძვის წყლის ტალღებს, და ამდენად, შორსაა იდეალური (იდეის გამომხატველი) მოძრაობისგან.

როდესაც მოცურავე მოძრაობს „დელოფინით“, ძირითადი აქცენტი გადატანილია სხეულის ვიბრაციაზე, და ამდენად, ის ემსგავსება თევზს. თევზის სიმბოლო წყალში ცხოვრებისა და წყალთან შერწყმის იდეას განასახიერებს, თითქოსდა ემსგავსება კიდევ მის არაჩვეულებრივ მოძრაობას და აძლიერებს წყლის სუბსტანციის ინტენსიურ განცდას.

ჩვენი მოსაზრებით, სხეულის ვიბრაციაზე ყურადღების გამახვილება კაუნსილმანის მიერ და სპეციალური ვარჯიშები ამ მიმართულებით, რომლებშიც ადამიანს სრული შემოქმედებითი თავისუფლება ეძლევა, წარმოადგენს იმ ინდივიდუალურ მეთოდს, რა გზითაც მოცურავე ეზიარება ცურვის ხელოვნებისა და მეცნიერების, როგორც ადამიანის ფსიქოემოციური აქტივობის ინტუიციურ საფუძვლებს.

სპორტული ცურვა წარმოადგენდა პროგრესირებადი სპორტის სახეობაა. უკანასკნელ წლებში წარმატებათა მიღწევების ტემპი არა თუ შენედა, პირიქით, როგორც მოსალოდნელი იყო საგრძნობლად გაიზარდა და დღეისათვის ისეთ რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია, რომ რამდენიმე წლის წინ თვით ოპტიმისტურად განწყობილი სპეციალისტებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ. ეს მიღწევები მსოფლიოს მრავალის სხვადასხვა პროფილის მქონე სპეციალისტების: მწვრთნელების, სპორტის ორგანიზატორების, სამეცნიერო მუშაკებისა და ექიმების თავდაუზოგავი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

მიუხედავად მსოფლიო დონის ზოგიერთი წამყვანი სპეციალისტის მოსაზრებისა, რომ, თითქოსდა აუცილებელია ძალისმიერი სავარჯიშოების გამოყენება დარბაზში, წყლის გარეშე, მთლად ასეც არ არის, ვინაიდან მნიშვნელოვნად განსხვავებული რეკომენდაციებიც არსებობს ძალისმიერი სავარჯიშოების მოკულობის შესახებ. მაგ: ამ თვალსაზრისით დ. კაუნსილმანი რეკომენდაციას გვაძლევს და კვირაში სამი ორმოცდახუთწუთიანი გაკვეთილის ჩატარებას გვირჩევს დარბაზში, სხვა სპეციალისტები კი თვლიან, რომ ძალისმიერი ვარჯიში ყოველდღიურად ერთი საათის განმავლობაში უნდა ჩატარდეს. ბევრი მწვრთნელი ფართოდ იყენებს ძალისმიერ სავარჯიშოებს მოსამზადებელ პერიოდში, თუმცა პრაქტიკულად გამორიცხავენ მას შეჯიბრების წინ. მწვრთნელთა გარკვეული ნაწილი ძალისმიერ მომზადებას მთელი მაკროციკლის განმავლობაში ახორციელებს. დღემდე არ არის დადგენილი ოპტიმალური შეფარდების ისეთი საშუალება, რომელიც დამხმარე უპირატესი სრულყოფა იქნება ძალისმიერი განსხვავებული ელემენტების მოსამზადებლად მაქსიმალურ, აფეთქებულ ძალებსა და გამძლეობას შორის არსებული ურთიერთკავშირებისა.

დასკვნა

ჯერ კიდევ დაუდგენელია ეფექტური ძალისმიერი მომზადების გავლენა კუნთების მუშაობის რეჟიმზე. ევროპელი მოცურავეები ძალისმიერი მომზადებისათვის უპირატესად დინამიკურ რეჟიმს იყენებენ, ხოლო აშშ-ის საცურაო კლუბებში მოცულობითი ძალისმიერი მუშაობა იზოკინეტიკურ რეჟიმში, სპეციალურად მონწყობილ ტრენაჟორებზე სრულდება; მოკლედ ამ საკითხში აზრთა სხვადასხვაობა და ბევრი პრობლემაა, მაგრამ თუ მწვრთნელები, სპორტსმენებთან ერთად, სწრაფად და სწორად გადაწყვეტენ ზემოაღნიშნულს, უეჭველად მიაღწევენ საგრძნობ უპირატესობას მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯეიმს კაუნსილმანი. ცურვა.
2. ინტერნეტი.

რეზიუმე
თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ედიშერ მაჩაიძე
რამოდენიმე მოსაზრება და კომენტარი ჯეიმს კაუნსილმანის ცურვის სწავლების შესახებ

მაღალი კლასის მოცურავეთა მომზადება და ამ ამოცანის გადაწყვეტა თანამედროვე სპორტულ ორგანიზაციებში, სწორედ წვრთნის მეთოდების თეორიათა ამორჩევასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში დევს.

საკვანძო სიტყვები: მეთოდოლოგია; კონცეფცია; ტაქტიკა; თვითშემეცნება; ფსიქოემოციური; ინსტიქტი; ფსიქიკა; ოპტიმალური; ვიბრაცია; იზოკინეტიკური;

Summary
Teimuraz Lortkipanidze, Edisher Machaidze
Several opinions and comments about James Kaunsilmanis swimming training

High-class swimmers training, this task will be solved in contemporary sporting organizations, applying the proper methods of training and practical usage.

Keywords: methodology; Concept; Tactics; Self-awareness; Psychoemotional; Instinct; psyche; Optimal; Vibration; Isokinetic.

Резюме
Теймураз Лорткипанидзе, Едишер Мачайдзе
Несколько мнений и комментариев Джеймса Каунсильманиса о обучение плаванию

Задачей данного пособия и является изложение современных организационных и методических основ отбора и подготовки пловцов высокого класса.

Ключевые слова: методология; концепция; тактика; самосознание; психоэмоциональное; инстинкт; психика; оптимальная; вибрация; изокинетический.

კომპიუტერული ტექნოლოგიები

სპორტსმენ სტუდენტთა ცენტრალური და პერიფერიული მხედველობის რეაქციის დროს შეფასებისა და კორექტირების კომპიუტერული მეთოდი

1ეკოიანი ა., 2ილია ხიპაშვილი

¹საქართველო, თბილისი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,

²საქართველო, თბილისი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი. ,

შესავალი

სპორტში რეაქციის სიჩქარეს დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირად წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ სპორტსმენი რამდენად დროულად და რაციონალურად რეაგირებს ცვლილებებზე კონკურენტულ სიტუაციაში ან რამდენად დროულად ასრულებს დაწყებულ ქმედებას. ცუდი რეაქცია შეიძლება გახდეს ტრავმის მიზეზი [1, 5, 19] და, პირიქით, ტრავმამ თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს რეაქციის დაქვეითება [18]. რეაქციების სიჩქარე შეიძლება გაუმჯობესდეს სპეციალური ვარჯიშების საშუალებით [16].

რეაგირების დროის გაზომვა შესაძლებელია კომპიუტერის საშუალებით, რომელიც გახდა სპორტის განუყოფელი კომპონენტი. კომპიუტერი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ობიექტური ინფორმაცია სპორტსმენის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის შესახებ სპეციალური ტესტების გამოყენებით. ასეთი ტესტები წარმატებით გამოყენებული იყო ათლეტების მარტივი და რთული რეაქციების შესაფასებლად [1-5, 8, 10, 12].

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტსმენებში არსებობს გაზრდილი ინტერესი კომპიუტერის მიმართ: ბევრი სპორტსმენი კომპიუტერული თამაშების საშუალებით სწავლობს სპორტის ნიუანსებს. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კომპიუტერზე თამაში დღეში 10-15 წუთის განმავლობაში დადებით გავლენას ახდენს სპორტსმენის მომზადების პროცესზე [9, 11, 13].

არსებობს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, სადაც ნაჩვენებია, რომ სპორტსმენის რეაქცია დამოკიდებულია მის ასაკზე, სქესზე, ფიზიკურ განვითარებაზე და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ამავე დროს, არ არის საკმარისად შესწავლილი, თუ როგორაა რეაქცია დამოკიდებული სიგნალის მიმართულებაზე და კომპიუტერული პროგრამების დიზაინზე. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სპორტსმენებს არასპორტსმენებთან შედარებით აქვთ უკეთესი რეაგირების დრო სტიმულებზე მიღებული პერიფერიული მხედველობის მეშვეობით [7, 21]. ზოგიერთი მეცნიერი, ასევე მიუთითებს პერიფერიული ხედვის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე სპეციალური ვიზუალური სასწავლო პროგრამების საშუალებით [20].

ამ სტატიაში ჩვენ წარმოგიდგინთ ტესტირების ახალ კომპიუტერულ მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ სპორტსმენის რეაქციის დრო სხვადასხვა მიმართულებით და მოვახდინოთ მისი კორექტირება. მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპორტსმენების შერჩევისა და მომზადების დროს და წარმოადგენს ქართველი მეცნიერების მრავალწლიანი მუშაობის შედეგს [1-5, 10, 12].

სტატიაში განხილულია მეთოდის გამოყენების პრინციპები ფეხბურთელ სტუდენტთა შემთხვევაში, როდესაც სპორტსმენთა ასაკი მერყეობდა დიაპაზონში 17-22 წელი, მაგრამ დიზაინის და ტესტირების შედეგების შეფასების კრიტერიუმების შეცვლის შემდეგ მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპორტის სხვა სახეობებში და სხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

მეთოდის მიზნები

ჩვენ მეთოდის მიზანია სპორტსმენის მარტივი და რთული მხედველობითი რეაქციების შეფასება კომპიუტერული ტესტირების საშუალებით და იმის გარკვევა, თუ როგორაა რეაქციის დრო დამოკიდებული სიგნალების მიმართულებაზე და სიხშირეზე. ამასთანავე, ჩვენ ვიყენებთ კომპიუტერულ ტესტირებას ათლეტების რეაქციის გაუმჯობესებისა და გამოსწორების მიზნით.

მეთოდის ძირითად მიზანს წარმოადგენს კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე შემუშავებული პროგრამების მეშვეობით მოვახდინოთ სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმდინარეობის კორექტირება, სპორტსმენთა შერჩევის პროცესის ოპტიმიზაცია და ინდივიდუალური ტრენინგების კომპიუტერული პროგრამის შემუშავება.

მეთოდის გამოყენების ძირითადი ეტაპები

მეთოდის გამოყენების ძირითად ეტაპებს წარმოადგენს:

1. კომპიუტერული ტესტირების პროგრამის მომზადება: სპორტის სახეობის შესაბამისად პროგრამის გრაფიკული ინტერფეისის შერჩევა;
2. საწვრთნო პროცესის დროს სპორტსმენების არჩევა ტესტირების გასავლელად. არჩევა ხდება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით: ასაკი, კვალიფიკაცია, სქესი და სხვა;
3. ინფორმაცია სპორტსმენთა შესახებ - დაბადების თარიღი, წონა, სიმაღლე, სქესი, საკონტაქტო მონაცემები - ინახება მონაცემთა ბაზაში;
4. წინასწარი ტესტირების ჩატარება: ამ ტესტირების დროს სპორტსმენები სწავლობენ პროგრამასთან მუშაობის წესებს და ასრულებენ ტესტებს სანამ არ იგრძნობენ თავს თავისუფლად კომპიუტერთან;
5. წინასწარი ტესტირების შედეგების საფუძველზე, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, ტესტირების შედეგების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება;
6. კომპიუტერული ტესტირების ჩატარება: ამ ეტაპზე შედეგი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სპორტსმენის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე, ამიტომ, სპორტსმენებს ეძლევათ ინსტრუქცია რათა ტესტირების წინ, 24 საათის განმავლობაში, თავი შეიკავონ მაქსიმალური დატვირთვისგან და თავიდან აიცილონ კოფეინის და მძიმე საკვების მოხმარება 2-3 საათის განმავლობაში [6];
7. ტესტირების შედეგების სტატისტიკური გაანალიზება და ამ ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების გაცემა სპორტსმენთა შემდგომი ტრენინგებისათვის: საჭიროების შემთხვევაში სპორტსმენმა უნდა გაიაროს სპეციალური კომპიუტერული ტრენინგი;
8. კომპიუტერული ტრენინგების ჩატარება იმ სპორტსმენებისათვის, რომლებსაც ჰქონდათ გართულება რეაქციის დროსთან: ტრენინგების კომპიუტერული პროგრამა წარმოადგენს ტესტირების პროგრამას, სადაც ტესტების რაოდენობა და სხვა პარამეტრები წინასწარ განსაზღვრულია სპორტსმენის რეაქციის დროსთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით;
9. სპორტსმენების მიერ საკონტროლო ტესტის ჩაბარება კომპიუტერული ტრენინგების გავლის შემდეგ: იმ შემთხვევაში, თუ ტრენინგების პროცესის ჩატარების შემდეგ სპორტსმენის მდგომარეობა არ გამოსწორდა, მწვრთნელმა რეკომენდაცია უნდა მისცეს ახალგაზრდა სპორტსმენს ან დაანებოს თავი წვრთნას ან მიმართოს სპორტული მედიცინის სპეციალისტს შესაბამისი კონსულტაციებისათვის;
10. ახალგაზრდა სპორტსმენების შერჩევისა და სასწავლო-საწვრთნო პროცესის ოპტიმიზაციის კრიტერიუმების დამუშავება და სათანადო ინდივიდუალური ტრენინგ-პროგრამის შემუშავება;
11. მწვრთნელებისათვის პრაქტიკული მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება ახალგაზრდა სპორტსმენებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის.

კომპიუტერული ტესტირების პროგრამა

ტესტირების პროგრამა წარმოადგენს კომპიუტერულ ინტერფეისს (იხ. ნახ. 1), რომელიც სწავლობს მოზარდის რეაქციას ვირტუალური მოთამაშის პოზიციის შემთხვევით ცვლილებაზე. ფაქტიურად გამოყენებული იქნა 4 მინიტესტი – ფიქსირდება მოზარდის ბურთის მინოდების დრო ოთხი თანაბრად განაწილებული მიმართულებით 31, 32, 33, 34. მინიტესტების რაოდენობა უდრიდა – 40-ს, მინიტესტის ინტერვალი იცვლება დიაპაზონში 500-1500 მილიწამი. იზომება ორი ტიპის რეაქციის დრო - მარტივი და რთული. შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ ორი ტიპის ტესტებს:


I ტიპის ტესტები: იზომება მარტივი რეაქციის დრო - ტესტირებულმა ერთ ღილაკზე დაჭერით (F5) უნდა მოახდინოს რეაგირება ვირტუალური მოთამაშის პოზიციის შეცვლაზე ოთხივე შესაძლო პოზიციაში კომპიუტერულ ეკრანზე;

II ტიპის ტესტები: იზომება რთული რეაქციის დრო - ტესტირებულმა ოთხი ღილაკის მეშვეობით (F5, F6, F7, F8) უნდა მოახდინოს რეაგირება ვირტუალური მოთამაშის პოზიციის შეცვლაზე ოთხივე შესაძლო პოზიციაში კომპიუტერულ ეკრანზე და მიანდლოს პასი მაქსიმალური სისწრაფით.

ტესტირების დროითი ინტერვალი არის ფარდობითი სიდიდე (მოძრაობითი რეაქციის დროის პროპორციული მახასიათებელი), რომელიც ჩვენს შემთხვევაში გამოყენებულია სპორტსმენის გარკვეულ ინფორმაციაზე რეაგირების შეფასებისათვის.

ჩვენ ვიყენებთ კომპიუტერული ტესტირების ორ ვარიანტს. პირველი ვარიანტი არის სპეციალიზირებული, როდესაც პროგრამის ინტერფეისი გათვლილია სპორტის გარკვეულ სახეობაზე, მაგალითად, ფეხბურთზე. ტესტირების მეორე ვარიანტი კი არის არასპეციალიზირებული, როდესაც პროგრამის ინტერფეისი არის ნეიტრალური მწვანე ფონი, რომელზეც ოთხ პოზიციაში გადაადგილდება წრე, სადაც უნდა მოთავსდეს თეთრი მრგვალი ფიგურა. ფიგურის მოთავსება ხდება ისევ ოთხი შემთავსებული ღილაკის მეშვეობით (F5, F6, F7, F8).

ჩვენ ვიყენებთ ტესტირების მეორე ვარიანტს, რათა გამოავლინოთ როგორ არის დამოკიდებული შედეგები პროგრამის ინტერფეისზე.



ნახ. 1. კომპიუტერული პროგრამის ინტერფეისი.

მხედველობითი რეაქციის გამოსათვლელი პარამეტრები

ტესტირების შედეგად ითვლება შემდეგი პარამეტრები:

1. რეაგირების საშუალო დროითი ინტერვალი T_{AV} მთლიანად ყველა მიმართულებაზე ჩატარებული ტესტებიდან. გარდა ამისა ინტერვალი ითვლება ყოველ ცალკეულ მიმართულებაზე ცალ-ცალკე - T_1, T_2, T_3 და T_4 ;
2. შეცდომების რაოდენობა მთლიანად ყველა მიმართულებით M_{AV} და ყოველ მიმართულებაზე ცალ-ცალკე - M_1, M_2, M_3 და M_4 ;
3. ამ მიმართულებებით დროითი ინტერვალების სხვაობა განსაზღვრავს მოძრაობის კოორდინატის სიმეტრიულობას - სიმეტრიულობის კოეფიციენტის მნიშვნელობის სახით. სიმეტრიულობის კოეფიციენტი S გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით $S = ((T_4 - T_1) / T_{AV}) \cdot 100\%$;
4. პერიფერიული მხედველობის რეაქციის კოეფიციენტი P გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით $P = [((T_2 + T_3) / 2 - (T_1 + T_4) / 2) / T_{AV}] \cdot 100\%$ და განსაზღვრავს სხვაობას ცენტრალური და პერიფერიული მიმართულებებით გამოთვლილ საშუალო რეაქციებს შორის;
5. დროის ინტერვალის სტანდარტული და საშუალო გადახრების მნიშვნელობებისა და ვარიაციის კოეფიციენტის გამოთვლები.

ტესტირების შედეგების შეფასების სკალა

ჩვენს მიერ ჩატარებული საცდელი კომპიუტერული ტესტირების (საცდელ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 30 სტუდენტმა - ასაკი მერყეობდა დიაპაზონში 17-19 წელი) შედეგების და არსებული მეცნიერული ლიტერატურის [19, 21, 25, 29] შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ შეფასების სკალა, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ტესტირების შედეგების შეფასების სკალა (მარტივი და რთული რეაქციების დრო).

რეაქციის შეფასება	მარტივი რეაქციის დრო	რთული რეაქციის დრო
ძალიან კარგი	<190	<370
კარგი	190-210	370-400
ნორმალური	210-230	400-435
არც ისე ცუდი	230-270	435-470
ცუდი	270-300	470-500
ძალიან ცუდი	>300	>500

სხვა პარამეტრების შესაფასებლად (M, S, P) ჩვენ ვიყენებთ სკალას, რომელიც ნაჩვენებია ცხრილში 2., საიდანაც ჩანს, რომ ამ პარამეტრების დამაკმაყოფილებელი მნიშვნელობები არ უნდა აღემატებოდეს 10 %.

ცხრილი 2. ტესტირების შედეგების შეფასების სკალა.

პარამეტრი	კარგი	ნორმალური	ცუდი	ძალიან ცუდი
შეცდომების რაოდენობა M (%)	<5	5-10	10-20	>20
რეაქციის სიმეტრიულობის კოეფ.- ტი S (%)	<5	5-10	10-20	>20
პერიფერიული მხედველობის კოეფ.- ტი P (%)	<5	5-10	10-20	>20

კომპიუტერული ტესტირების შედეგების ანალიზი

კომპიუტერული პროგრამა საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ანალიზი არა მარტო საშუალო კოეფიციენტების, არამედ გავაანალიზოთ როგორ იცვლება ტესტირების შედეგი დროის მიხედვით, რათა გამოვავლინოთ სტაბილურობისა და არასტაბილურობის პერიოდები და შევაფასოთ მათი ხანგრძლივობა. ასე, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ რამდენად კონცენტრირებულია ტესტირებული მოზარდი ტესტირების დროს და ღლის მას თუ არა ტესტირების პროცესი.

ტესტირების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი ხდებოდა კომპიუტერული პროგრამით - ფიქსირდებოდა თუ რომელ სპორტსმენს ჰქონდა პრობლემები რეაქციის დროსთან და რეაქციის სიმეტრიულობის კოეფიციენტთან დაკავშირებით - ანუ პრობლემები რეაქციის სიჩქარესთან და მოძრაობითი რეაგირების სიმეტრიულობასთან მიმართებაში.

კომპიუტერული ტრენინგების პროგრამა

საცდელი ტესტირების შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ კომპიუტერული ტრენინგების პროგრამა, რომელიც სტუდენტებმა უნდა შეასრულონ მხედველობითი რეაქციის გასაუმჯობესებლად. ყველა ახალგაზრდამ უნდა გაიაროს ერთოვიანი კომპიუტერული ტრენინგი შემდეგი პროგრამის მიხედვით:

1. ტრენინგები ჩატარდება ყოველ სამუშაო დღეს 10-15 წუთის განმავლობაში.
2. სპორტსმენმა უნდა შეასრულოს ტესტები, რომლებიც მოცემულია მე-3 ცხრილში:
3. შეცდომების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მინიტესტების რაოდენობის 10%-ს. ასე რომ, იმ შემთხვევაში თუ მინიტესტების რაოდენობა $n=40$, შეცდომების რაოდენობა არ უნდა იყოს 4-ზე მეტი.

ცხრილი 3. მხედველობითი რეაქციის კომპიუტერული ტრენინგების პარამეტრები.

ტესტის ნომერი	ტესტის ტიპი	მინიტესტების რაოდენობა	მინ. სიხშირე (მწ)	მაქს. სიხშირე (მწ)	ტესტების რაოდენობა	ხანგრძლივობა (წუთი)
1	1	40	500	500	3	1
2	2	40	500	500	3	1
3	1	40	500	1500	3	2
4	2	40	500	1500	3	2
5	1	20	1000	2000	4	2
6	2	20	1000	2000	4	2
სულ:					20	10

ტესტირებულ სპორტსმენს ეძლევა სამი ცდა საკონტროლო გამოცდის გადასალახავად. მათ შორის ირჩევა საუკეთესო შედეგი და ინახება მონაცემთა ბაზაში.

კომპიუტერული ტრენინგების პარამეტრები ნაჩვენებია ცხრილში 3. ჩანს, რომ ტესტის საერთო ხანგრძლივობა შეადგენს 10 წუთს. რეკომენდებულია სპორტსმენმა გააკეთოს 10-20 წამიანი შესვენებები ტესტებს შორის. ამასთან ერთად, სპორტსმენებს ეძლევა უფლება გამოტოვონ ან დაამატონ ტესტები ინსტრუქტორის თანხმობის შემთხვევაში: ასე რომ, ტესტების საერთო ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს 12-15 წუთამდე.

შემუშავებული მეთოდის გამოცდა მოხდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის ფეხბურთელ სტუდენტთა ათკაციან ჯგუფზე. მათ შეძლეს ცენტრალური და რთული რეაქციების საშუალოდ 10-15 პროცენტით გაუმჯობესება ჩვენი კომპიუტერული ტესტების ერთოვანი შესრულების შემდეგ სამჯერ-ხუთჯერ კვირაში დღეში 10-15 წუთის განმავლობაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ფსიქოფიზიოლოგიური კომპიუტერული ტესტები საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია სპორტულ მეცნიერებაში, ვინაიდან ისინი არიან სწრაფი და არ ითხოვენ დიდ ხარჯებს. ნაშრომში წარმოდგენილია კომპიუტერული ტესტირების ახალი პროგრამა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ სპორტსმენის რეაქციის საშუალო დროითი ინტერვალი სხვადასხვა მიმართულებით და განვსაზღვროთ მისი რეაქციის სიმეტრიულობის კოეფიციენტი, რის შედეგადაც ხდება სათანადო რეკომენდაციების გაცემა შემდგომი ვარჯიშებისთვის.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ მომენტებზე:

- ამ პროგრამის ძირითადი თვისება არის რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული დიზაინი, რაც სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს ხდის და ხელს უწყობს შეძენილი უნარ-ჩვევების უფრო ღრმად დამახსოვრებას. პროგრამას მეტი ეფექტი აქვს სპორტსმენებზე, როდესაც ტესტების შესრულება ხდება დიდ მონიტორებზე.
- სპორტსმენებმა უნდა შეასრულონ ტესტები რეგულარულად, წინააღმდეგ შემთხვევაში რეაქცია იწყებს გაუარესებას და შეძენილი უნარები სუსტდება.
- ხანგრძლივი ტესტირება არ იწვევს რეაგირების გაუმჯობესებას: საკმარისია კომპიუტერული ტესტების შესრულება დღეში 10-15 წუთის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ ტრენინგების პროცესის ჩატარების შემდეგ სპორტსმენის მდგომარეობა არ გამოსწორდა, მწვრთნელმა რეკომენდაცია უნდა მისცეს ახალგაზრდა სპორტსმენს ან დაანებოს თავი წვრთნას ან მიმართოს სპორტული მედიცინის სპეციალისტს შესაბამისი კონსულტაციებისათვის.

ამ ტესტირების მიხედვით დგინდება ახალგაზრდა სპორტსმენების რეაქციის უნართან, სისწრაფესთან და რეაქციის სიმეტრიულობასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი ანალიზის მიხედვით ხდება საწვრთნო-სასწავლო პროცესის კორექტირება.

მეთოდური რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპორტის სხვა სახეობებშიც ახალგაზრდა სპორტსმენების შერჩევისა და ტრენინგებისათვის. მაგალითად, ჩვენი ტესტების ამ ვერსიაში ფეხბურთთან ერთად დამატებულია სპორტის სხვა სახეობები: კალათბურთი, რაგბი და ხელბურთი.

ტესტირების გასავლელად მსურველებმა უნდა მიმართონ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის სპეციალისტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეგოიანი ა., ხიპაშვილი ი., თარხნიშვილი ნ., ტყემალაძე ი., მეშვილდიშვილი ც., კარსანიძე ნ. კომპიუტერული ტესტირების გამოყენება ტრავმატიზმის შემცირების მიზნით. // საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „კურორტული და სხვა არამედიკამენტური ფაქტორების კომპლექსური გამოყენების აქტუალური საკითხები“ შრომათა კრებული, წყალტუბო, საქართველო, 2005, გვ. 33-35.
2. ეგოიანი ა., ხიპაშვილი ი. ფსიქოფიზიოლოგიური კომპიუტერული ტესტების გამოყენება სპორტსმენტა მომზადების პროცესში. // სამეცნიერო კონფერენციის მასალები, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2016, გვ. 13-19.
3. კირკიტაძე დ., გუგუშვილი ჯ., ეგოიანი ა., ხიპაშვილი ი., ჩიტაშვილი დ., მირცხულავა მ. ფეხბურთელთა წვრთნისა და შერჩევის კომპიუტერული მეთოდი. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია A, 2007 (33), 1: 47-51.
4. Егоян А., Мирцхулава М., Хипашвили И. Использование психофизиологических компьютерных тестов в процессе подготовки футболистов. // GESJ: Образовательные науки и психология. 2014, 3 (29), С. 31-59.
5. Мирцхулава М., Егоян А., Коринтели Э., Хипашвили И. Применение компьютерного тестирования для снижения травматизма среди юных футболистов. // Материалы международной научной конференции посвященной 75-летию Ереванского медицинского университета имени М. Гераци, Ереван, 2005, С. 249-250.
6. ACSM. ACSM’s Guidelines for Exercise Testing and Prescription (7 ed.). Philadelphia, PA:Lippincott, Williams &Wilkins, 2006.
7. Ando S, Kida N, Oda S. Central and peripheral visual reaction time of soccer players and nonathletes. Percept Mot Skills 2001; 92(3 Pt 1): 786-94.
8. Ashanin V, Romanenko V. The use of computer technologies at an assessment of sensory-motor reactions in single combats. // Slobozhanskyi Herald of Science and Sport 2015; 4(48): 15-18.
9. Blumberg C, Fisch S. Digital Games: A Context for Cognitive Development: New Directions for Child and Adolescent Development. John Wiley & Sons, 2013, pp. 96.
10. Chitashvili D, Egoyan A, Mirtskhulava M, Khipashvili I, et al. Use of computer software for improvement of skills of young football players, J Biomech 2006; 39, S547-S548.
11. Dye MWG, Green CS, Bavelier D. The development of attention skills in action video game players. Neuropsychologia 2009; 47(8-9): 1780-1789.
12. Egoyan A, Khipashvili I. The use of computer tests during the process of sportsmen’s preparation. // Abstracts of international conference “Sports and Innovation”, University of physical education of Budapest, Groupama Arena, 18-19 May 2017: 68.
13. Green CS, Bavelier D. Action video game modifies visual selective attention. Nature 2003; 423: 534-537.
14. Heirani A, VaziniTaher A, Soori Z and Rahmani M. Relationship between choice reaction time and expertise in team and individual sports: a gender differences approach. Australian Journal of Basic and Applied Sciences 2012; 6(8): 344-348.
15. Jyothi S, Vernekar S, Manishankar, Jayalakshmi L, Vinothkumar, Rashmi R. Correlation of Audio-Visual Reaction Time with Body Mass Index & Skin Fold Thickness Between Runners and Healthy Controls. Indian J Physiol Pharmacol 2016; 60(3): 239-246.
16. Savas S, Ugras A. The Effects of the Eight Week Pre-Season Training Program on the Physical and Physiological Characteristics of University Men’s Boxing, Taekwondo and Karate Athletes, Gazi University. Gazi Education Faculty Journal 2004; 24: 257-274.
17. Tønnessen E, Haugen T, Shalfawi SA. Reaction time aspects of elite sprinters in athletic world championships. J Strength Cond Res 2013; 27(4): 885-892.
18. Warden DL, Bleiberg J, Cameron KL, et al. Persistent prolongation of simple reaction time in sports concussion. Neurology. 2001; 57(3):524-6.

19. Wilkerson GB, Simpson KA, Clark RA. Assessment and Training of Visuomotor Reaction Time for Football Injury Prevention. J Sport Rehabil. 2017; 26(1): 26-34.
20. Williams AM. Perceptual expertise. In: Expert performance in sports. (ed. Starkes, J. L. and Ericsson, K.A.). Human Kinetics: Champaign, Illinois, 2003.
21. Zwierko T. Differences in Peripheral Perception between Athletes and Nonathletes. Journal of Human Kinetics 2007; 19: 53-62.

რეზიუმე

ალექსანდრე ეგოიანი, ილია ხიპაშვილი

სპორტსმენ სტუდენტთა ცენტრალური და პერიფერიული მხედველობის რეაქციის დროს შეფასებისა და კორექტირების კომპიუტერული მეთოდი

ამ სტატიაში ჩვენ წარმოგიდგინთ ახალ კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც საშუალებას გვაძლევს სპორტსმენ სტუდენტებში შევაფასოთ ცენტრალური და პერიფერიული მხედველობის რეაქციის დრო და მოვახდინოთ მისი კორექტირება. პროგრამას აქვს რეალისტური დიზაინი, რომელიც შეიცავს ვიდეო თამაშების ელემენტებს, რაც კომპიუტერული ტესტირების პროცესს უფრო ეფექტურს და პროდუქტიულს ხდის. 17-19 წლის საშუალო კვალიფიკაციის მქონე ფეხბურთელ სტუდენტთა ათკაციანი ჯგუფის მაგალითზე ხდება ცენტრალური და პერიფერიული მხედველობის რეაქციის დროს საშუალოდ 10-15 პროცენტით გაუმჯობესების დემონსტრირება ჩვენი კომპიუტერული ტესტების ერთთვიანი შესრულების შემდეგ სამჯერ-ხუთჯერ კვირაში დღეში 10-15 წუთის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: რეაქციის დრო, მხედველობითი რეაქცია, ფსიქოფიზიოლოგიური ტესტი.

Summary

Alexander Egoyan, Ilia Khipashvili

Computer method for assessment and correction of central and peripheral visual reaction time in sportsmen-students

In this article we describe a new computer program for assessment and correction of central and peripheral visual reaction time in sportsmen-students. The program has a realistic design containing elements of video games, which makes the process of computer testing more effective and productive. On the example of a group of ten 17-19-year-old sportsmen-students with low-medium qualification we demonstrate the improvement of central and peripheral reaction times by 10%-15% on the average after one-month special training including our computer tests three-five times per a week for about 10-15 minutes daily.

Keywords: reaction time, visual reaction, psychophysiological test.

Резюме

Александр Егоян, Илья Хипашвили

Компьютерная методика для оценки и корректировки времени центральной и периферической зрительной реакции у студентов спортсменов

В этой работе мы представляем новую компьютерную программу, которая позволяет оценивать и корректировать время центральной и периферической зрительной реакции у студентов спортсменов. Программа имеет реалистичный дизайн, содержащий элементы видео-игр, что делает процесс компьютерного тестирования более эффективным и продуктивным. На примере группы 17-19 летних футболистов-любителей мы демонстрируем улучшение времени центральной и периферической зрительной реакции в среднем на 10-15% в результате месячных компьютерных тренировок по нашей программе по три-пять раза в неделю по 10-15 минут в день.

Ключевые слова: время реакции, зрительная реакция, психофизиологический тест.